

კარი ერთოსტელი

კოლხეთი
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსტ ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 100

2020



მთ. რედაქტორი დაგით შანდაშვილი

ფილოსოფოსი (ეზოტერიკი),
საქართველოს მწერალთა,
მეცნიერთა და საზოგადო
მოღვაწეთა საერთაშორისო
აკადემია „ქალდეა-საქარ-
თველო“-ს წევრი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „ანილისალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკის №4, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-907-3 (100 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემული გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემლება „მოლოდინება“ გამოსცემა ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუტი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, შვაიცარიის იმპრის ვარსკვლავისა და მეცნიერების ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთ-სამცნეომრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემულობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბადლეს კოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომმა (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასის კოექტი კოექტის ათომობული, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-
ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-
მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერო-
სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზიდენტი, ცხობილი
კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის
დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი,
იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი
ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მღერალი) და ორი
ვაჟიმვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი მვი-
ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცნე შვილი
(შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხევი, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანაბედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მთიული ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპავე, კოეჭმა ოქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითვალებრული ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვასის ნაცარიმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდონიდებული სამყაროს ოცდათოთხმეტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითხება.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კი...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გველუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულაზ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი


„ბჟლცივად შენვი ყოველ ძებას, ყოველ ძაბნბას.“
ა. პუშკინი

ზინასიტების მაგისტრ

„მარბალილტებში ვეძებ მარბალიტს!“

ვაჟა ეგრისელის ლექსების წაკითხვისას, არა თუ მოწონებას, აღფრთოვანებას და აღტაცებას ვერ მაღავენ მხატვრული სიტყვის ისეთი ოსტატები, როგორიც არიან: შოთა ნიშნიანიძე („ვაჟა ეგრისელმა კარგა ხანია დაიმკვირდა თავისი პოეტური ხელწერა. მისი ხილვები მეტაფორის პრიზმაშია გამოტარებული და მხატვრული ორნამენტივით აღიქმება“), იოსებ ნონეშვილი (ვაჟა ეგრისელის სახელს მაღე მთველი საქართველო გაიგებს 1960 წ.“), გრიგოლ აბაშიძე („ვაჟა ეგრისელი გამოკვეთილი ხმისა და მაძიებელი სულის პოეტია“), ორია იოსელიანი („ბრწყინვალეა“), ლევან სანიკიძე („ვაჟა ეგრისელი ჭეშმარიტად დიდი პოეტია“), რევაზ მარგიანი, (როგორც ვაჟა-ფშაველამ ფშავევსურეთი, ისე ვაჟა ეგრისელმა სამეგრელო და სვანეთი განუმეორებელი ეპითერებით შეამკო“), რევაზ ჯაფარიძე („ვაჟა ეგრისელის შემოქმედება მასშტაბურია, გამოირჩევა როული სიუჟეტური აღნაგობით, რითმების ბრწყინვალებით, შინაგანი ტონალობით, მკითხველის გულის კამერტონს რომ ეხმაურება“), ჯემალ აჯიაშვილი („არ მშორდვბა და მუდამ თან დამდევს ვაჟას ლექსების ყველა სტრიქონი“), აკაკი გაწერელია („ვაჟა ეგრისელის პოეზია ქართული სულის მარადიული ყივილია, მას ანალოგი არ ყავს“), ალიორ მირცხულავა („ვაჟა ეგრისელი იტყვის თავის სიტყვას მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიაში“ 1960 წ.), რევაზ მიშველაძე („მიუხედავად იმისა, დღეს მიიპყრობს თუ ხვალ კრიტიკოსთა მაღალ ყურადღებას, ვაჟა ეგრისელი მსოფლიო პოეტებს შორის ამაყად დგას თავისი ბრწყინვალე პოეზიით“), მორის ფოცხიშვილი („ვაჟა ეგრისელმა ლექსი პოეზიის ბობოქარ ენგურში შეაგდო“), სოსო სიგუა („ვაჟა ეგრისელს რომ არაფერი დაუწერა გარ-



და „შავლეგოსი“, ამ ერთი ლექსითაც დარჩებოდა ქართულ მწერლობაში), ზაურ ბოლქვაძე („სანამ საქართველო იქნება ვაჟა ეგრისელი პოეზიაც იცოცხლებს“), ხუტა ბერულავა („ვაჟა ეგრისელი დიდი პოეტია“), ცხობილი კრიტიკოსი და ლიტერატურის მცოდნე გიორგი გაჩეჩილაძე („ახალი თაობის პოეტებმა ოცამერთო საუკუნეში ვაჟა ეგრისელის უფლად უნდა წერონ“); ვაჟი ეგრისელის პოეტური მგზნებარებით მოხიბლული არიან ქართული ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი: ელგუჯა ამაშუკელი, ვაჟა აზარაშვილი, ზურაბ ქაფიანიძე და ვინ მოვლის კიდევ რამდენიმე!“

აქ ვერ ვახერხებოთ სხვა ბევრი გამოჩენილი შემოქმედის, აგადემიკოსის, პროფესორის და საზოგადო მოღვაწის დასახელებას, რომლებმაც გულში ჩაიხუტეს ვაჟა ეგრისელის წიგნები.

მოხიბილი შევასეტებით გვიჩვით ერთხელ კიდევ შეგახსენო მკითხველს ის დიდი ესთეტიკური ჰეშმარიტება, რაც ვაჟა ეგრისელმა დაამკვიდრა ქართულ პოეტურ სამყაროში.

რასაკეორგელია, ვაჟა ეგრისელის პოეზიის შესაფასებლად მნიშნელოვანია ყოველივე ზემოოქმედი, მაგრამ ჩემთვის კი განმსაზღვრელი მნიშვნელობა მაინც ვაჟას ლექსთან უშვილო მისვლას, ვაჟას პოეზიის აზროვნების ჩემუელ აღქმას და გაცნობიერებას აქვს. ამ მხრივ ნამდვილად დამიგროვდა სალაპარაკო.

ყველა ჰეშმარიტი პოეტი თავისი კუთხის შვილია. ის მშობლიური კუთხე, გარემო, რომელშიც ამოიდგა პოეტმა ენა, დიდად განსაზღვრავს მის შემოქმედებით იერსახეს. ვაჟა-ფშაველა გენიოსად აქცია. არა მხოლოდ უდიდესმა პოეტურმა ნიჭმა, არამედ მთის, კერძოდ ფშავ-ხევსურეთის პოეტურმა პოტენციამ, ფშავ-ხევსურმა მითოსმა, ფოლკლორმა და ეთნოგრაფიამ.

მე ვიცნობ კოლხურ ყოფას. იმ მეგრულ-ლაზურ-ჭანურ ფენომენს, რომელმა დღემდე შემოინახა უძველესი ქართული ენობრივი ნიუანსები, უადრინდელესი ქართული ზნეზვეულება, ყოფითი კულტურა და



ზეპირი შემოქმედების განუყოფელი პლასტები. როცა ვაკვირდები ამ კუთხიდან სამწერლო ასპარეზზე გამოსულ ქართველ პოეტებს, პრო-ზაიკოსებს, ლიტერატორებს, ნათელი ხდება დიდი შემოქმედებითი ბიბების ძალა, რომლითაც გამდიდრებულია მათი მხატვრული სიტყვის ისეთი გიგანტი, როგორიცაა კონსტანტინე გამსახურდია, ან კო-დევ – ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, ალიო მირცხულავა, ალექსან-დრე აბაშელი, ტერენტი გრანელი და სხვები. თავიანთ შემოქმედებაში მყაფიოდ წარმოაჩენენ კუთხის ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ ფეხვებს. ამით კი საგრძნობალად აფართოვებენ ქართული სიტყვიერი ხელოვნების თვალსაწიერს.

ტრადიცია გრძელდება. შემეძლო რამდენიმე მწერლის გვარი თა-ნამედროვეთაგანაც დამესახელებინა, რომლეთაც განაბრწყინეს კუთ-ხის მადლი, თავიანთ შემოქმედებაში, მაგრამ ვშეშობ არ გამომრჩეს ვინმე ღირსეული და თავს ვიკავებ.

რა მდგომარეობაა ვაჟა ეგრისელთან?

არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ იგი ერთ-ერთი პირველთაგა-ნია (თუ ერთადერთი არა), თანამედროვე ქართველ პოეტთა შორის, რომელმაც მთელი სიგრძე-სიგანით წარმოაჩინა მშობლიური კუთხის კოლორიტი. მან ერთ დიდ ლირიკულ გმირად აქცია: უადრინდელესი და დღევანდელი კოლხეთი. შეურჩია შესატყვისი საერთო სათაურიც – „კოლხური ფსალმუნები“.

რას ნიშნავს ფსალმუნი? იგი ბერძნული ლექსიკიდან მოდის, რო-გორც სიტყვიერი და მუსიკალური სულიერება. სათავეს იღებს ბიბ-ლიაში, კერძოდ მველი ადოქმის ერთ-ერთ წიგნში, რომელსაც დავი-თის ფსალმუნებს უწოდებენ. დღეს ფსალმუნი სახოტბო საგალობ-ლის მნიშვნელობით აღიქმება მუსიკათმცოდნეობისა და ლიტერატუ-რათმცოდნეობაში. მოვიგონოთ თუნდაც ჯემალ აჯიაშვილის ებრაუ-ლი ფსალმუნების სწორუპოვარი თარგმანები.

ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“ მარტო საგალობლები



როდია. იგი სიღრმისეულად, შტამპეჭდავ ფერებში, ლაპარაკობს კოლხური მოდგმის შორეულ განცენილობაზე და მათ მკვიდრთა შესახებ, როგორიცაა წინა აზია (შუმერები, ქასქები). მცირე აზია (ხაოვები, ხეოვები, ანატოლიელები), ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების აუზები (ჰელზაგების, აპენინის ნახევარკუნძული (რომის იმპერია, ეტრუსკები), პირენეის მთლიანი მონაკვეთი (ბასკები) და ა. შ. ყოველივე ამაზე, წარმოდგენაც რომ არ ჰქონდეს მქითხველს, ვაჟას დიდი პოეზია მას შეუქმნის შთაბეჭდილებას, რომ მხოლოდ აიეტი და მედეა კი არა, არგონავტთა მთლიანი შემაღებენლობა (იაზონის ჩათვლით), ბერძენთა ანტიკური პანთეონი და წინაპერძნული შემოქმედებითი ლირებულებანი, კოლხური წარმომადგენლობის ფენომენია.

ვაჟას ძლიერმა კალამმა, საოცარი თანმიმდევრობითა და მოვლენათა უნიჭიერესი განსაზღვრულობით მოგვცა, დაგვისატა და ოვალწინ გადმოგვიშალა კოლხეთის პოეტური პრეისტორია, ისტორია და თანამედროვეობა.

ვაჟა ეგრისელის ლირიკაში ცოცხლდებიან კოლხთა უძველესი საცხოვრებისები, ტომები, გმირები, ღმერთ-ღვთაებები, მეფეები და ა. შ., რომლებიც ვაჟას თქმის არ იყოს, ქარიშხლიანმა ბრძოლებმა თითქოს გადაგვიშალეს, მაგრამ დღეს „ამოდის იგი „კოლხური ფსალმუნები-დან“.

ასე მაგალითად:

წარსულისაკნ მივყვები ტიგროსს,
ევფრატის მდვრიე ტალღებს და ფიქრებს.
ომების ცეცხლით გარუჯული საუკუნენი.
შორიდან უცრო გველამაზება,
რომ შორეული წინაპრები მეგრულ-ლაზების,
პელაზგია.



ადრე, შორს ეგეოსის
 ზღვის ლურჯ არქიპელაგზე
 წინაპარი – პელაზგი
 თურმე მტერს მიბელავდა,
 ვით უებრო ბელადი.

ისტორიის შორეულ
 გზებზე სამოგზაუროდ
 კოლხეთია ბილეთი,
 ხუთი ათასწლეული
 დევს იქიდან აქამდე.
 და კოლხეთში ხმა ესმით
 შუმერის და აქადის.

ისტორიის ულრანი
 გაკაფეს და შეტრუსეს
 და შორეულ კრეტაზე
 პელაზგი და ეტრუსკი
 ხედავს მზეს.

ჰეკრეტ ძველ ევროპას და აზიას,
 რომ ყვავის კრეტა-მიკნია,
 კოლხთა გულისოთქმა რომ შელეკია,
 და თითზე მწარედ მიბენია,
 მისი შემოქმედი პელაზგია,
 ეტრუსკი, დრიოპი და ლელეგია!

... და კოლხეთის შუამდინარეთს –
 ეფინება ბანდი გელებს,
 ვჭვრეტ ხეთებს და მიდიელებს!

პოეტის მახვილ თვალს მხედველობიდან არ რჩება ის ფაქტი,
 რომ მედეას შვილები არ მოუკლავს, – კოლხი ქალი მთელი „ოც-
 დაათი საუკუნე უამთა სახერცობელაზეა“, რომ იგი ბერძენს კი არ
 გაჰყოლია ცოლად, არამედ – იაზონს, იაზონი კი პელაზგია:

აღმოსავლეთ-დასავლეთით უნდა ვამცნო მთელ აზიას,
 კოლხ მედეას შვილები რომ არ მოუკლავს,
 რომ ბერძენს არ გაჰყოლია, იაზონი პელაზგია.
 ...რამდენი ლუქსის ავტორია ვაჟა ეგრისელი?
 ამ მხრივ ერთ-ერთი პირველთაგანია იგი. გაკვირვებას იწვევს,



მაგრამ ფაქტია რომ მისი ტომები 2000-2000-2000 ლექსს ითვლის. რასაკვირველია, პოეზიის მწვერავალზე პოეტი ლექსების რაოდენობას კი არ აჟავს, არამედ მაღალ შემოქმედებით ოსტატობას.

განსაკუთრებულ ინტერესს ვაჟას მეტაფორული აზროვნება იპყრობს.

მეტაფორები, მეტაფორები! – აი, ეგრისელის ლექსის სიფაქიზე, სილადე და სიმდიდრე. მეტაფორა ვაჟას ლესში „მხატვრული ორნამენტებით ადიქმება“ (შოთა ნიშნიანიძე), მკითხველს შეუძლია ჩახედოს ვაჟას პოეტურ სამყაროს და დაინახავს ლირიკულ გმირთა, მხატვრულ სახეთა, პოეტურ სილვათა უწეველო მოზღვავებას. ეგრისელის ლექსში მეტაფორულადაა ჩაგვირისტებული უზარმაზარი კოსმოსი – ცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, დედა-მიწა (მთები, ველები, მდინარეები, ეზო-კარი, ბილიკები, სოფლები, ცალკეული უბნები), ადამიანები (დედა, მამა, დები, მმები, მეუღლე, შვილები, მეგობართა წრე და, რაც მთავარია, მამული), რასაც ვაჟას ლექსის სიღიადე ჰქვია.

ჩვენ ვთქვათ, რომ მეტაფორა? (მკითხველს ბოდიშ ვუხდი, თითქოს, ამ მარტივი კითხვის დასმისათვის). ფართო დატვირთვა აქვს ამ ცნებას, ოდნავ შესხვატერებით მოვიხმობთ პ. ბელინსკის აღიარებულ გამოთქმას, – ლიტერატურა ესაა – სახეებით აზროვნება, და ვიტვით: მწერლობა, პოეზია, დრამატურგია ესაა მეტაფორებით აზროვნება, მეტაფორებით მეტყველება. მეტაფორა ფანტაზიის ნაყოფია, სინამდვილის გადატანითი მნიშვნელობით გარდასახვაა, ახალი სინამდვილის (მხატვრული სინამდვილის) შეთხვაა, იგივე ფანტაზიით აღქმული და წარმოჩნილი სინამდვილეა. არსებობს დიდი და პატარა მეტაფორები. მეტაფორებია, მაგალითად, ერთის მხრივ „სამშობლო ცასა, ბეჭდად გაშლილსა, მწუხრის ზეწარი გადაეფარა“. „ლექსს მე არა ვწერ, ლექსი თვითონ მწერს, ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს“. ეპიკურ ნაწარმოებში მეტაფორის ორივე სახეობა



შეიძლება გამოიყენოს ავტორმა, მაგრამ პოეტურ თხზულებაში იგი დირიქული გმირის სახით გვევლინება. „მწუხრის ზეწარი“ დირიქული გმირია „ლექსი მეწყერიც“. მკვლევარი შალვა დლონტი მეტაფორას „პოეტურ ნაცვალსახელს“ უწოდებს. – ლუარსაბი, გვადიც, თარაშ ემხვარიც, „მხუხრის ზეწარიც“ და „ლექსი მეწყერიც“ მართლაც, რეალური მოვლენების ნაცვალსახელებია.

ვაჟა ეგრისელისელი მეტაფორული თხზვა, თავად შემოქმედებით პროცესშია. იგი საზრობის ფანტაზიით და ორგორც მიგანიშნებდით, ჰქმის ახალ სინამდვილის-თხზვა მიმდინარეობს სამი განზომილებით: რეალური სინამდვილე (საიდანაც ამოდის პოეტი), ფანტაზიის ამოძრავება (გამოგონება) და სინამდვილის გადატანითი მნიშვნელობით აღქმა-წარმოსახვა (ანუ საოქმელის პოეტურად ჩამოყალიბება).

ჟოდა, ვაჟა ეგრისელი მეტაფორების დიდოსტატია. დავიწყოთ ერთი პატარა ლექსით:

სიკვდილის ფერ სიჩუმეში
წოლით დაღლილ-დაქანცულმა
შეიცვალა, ალბათ, გვერდი,

ასე ვფიქრობ, როცა ვნახავ –
ლოდს საფლავზე გადაფერდლ

ლექსი ერთი მთლიანი მეტაფორაა. რა ხდება? რა არის მთავარი საყრდენი? ის, რომ მიცვალებული საფლავში წევს. სინამდვილეა, პოეტმა რომ საფლავთან ჩაიარა და გარდაფერდებული ლოდი (საფლავის ქვა) შეამნინა, ესეც სინამდვილეა. ორი რეალური სინამდვილე პოეტის ცნობიერებაში აღმრავს განცდებს და იძლევა ბიძგს შემოქმედებაში ამოძრავდეს ფანტაზია (გარდასახვის, მოვლენის გადატანითი მნიშვნელობით გააზრების იმპულსები), მიცვალებული უცებ იქცევა ცოცხალ არსებად, „ვედარ უძლებს“ დამდლელ-დამქანცველ წოლას საფლავში და იძულებული ხდება შეინაცვლოს გვერდი (ასეთი ფიქრები მხოლოდ შემოქმედს აღძვრის), რასაც მოჰყვება თითქოს



საფლავის დოდის „შეტოკება“ და გადაფერდება. ეს რეალური სინამდევილეა, ახალ სინამდვილედ წარმოსახვაა და იბადება ლექსიც მიცვალებლი, რომელმაც გერდი შეინაცვლა, მკვდრის ნაცვალსახელი, მისი „ქმედება“ (გვერდის შენაცვლება) – მეტაფორაა.

ვაჟა ერთ-ერთ ლექსში თავად განმარტავს მეტაფორას:

... ახერავს რითმის თეთრი მანძილი

და მეტაფორა, ვით პატარძალი,

სიტყვის დარბაზში დაბრძანდება

და ლექსს მაძალებს!

მეტაფორა რომ „ლექსს აძალებს“ პოეტს, ეს უკვე ლექსის შექმნის სატონგნად ნათქავმია, მართლაც ასეა. წაწლების ერთად წოლის სიტუაციაშ პოეტის სააზროვნო განედზე გააჩინა მეტაფორული სახე. ამ მეტაფორულმა გარემოებამ პოეტს – „დააძალა“ ათქმევინა. სტრიქონები: „გვერდიგვერდ წვანან დღე და დამჟ, როგორც წაწლები“ – დიდებული ნათქვამია, დღე და დამჟ სწორედაც წაწლების ნაცვალსახელები, ლირიკული გმირებია. ჩვენ შეგვიძლია მოვიხმოთ ვაჟას მეტაფორების მთელი სერია, რომელიც ჩვენი აზრით, შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგ სახეობებად სიტყვა – მეტაფორა, ფრაზა – მეტაფორა, ბწყარი – მეტაფორა, სტროფი – მეტაფორა და ლექსი – მეტაფორა.

აი, ნიმუშიც: სიტყვა – მეტაფორა:

„გაიიადონა“ („დღე მზეს მზითად ბნელს გაატანს, დილას გაიიადონებს“), „გაიიალონა“ („გაიიალონებს იმედით დილას ოქროს ცვარში“), „ამოთენება“ („მიწის ხსოვნიდან ყვაილების ამოთენება“), „აითაიგულა“ („ქართულ აზრს და სიტყვას აითაიგულებს“),

„ქედდაკარგული“ („ქედდადრეკილი ნიშანარივით“), „მიაავთანდილა“ („უკვდავებას მიიმდევრი, მერანს მიაავთანდილებ“) „დაშავლებობა“, „დაგაუაობა“, (რადგან ისევ დაგაუაობ, დადიხარ და დაშავლებობ“) და სხვა.

—



ფრაზა – მეტაფორა. აქ ფრაზაში იგულისხმება სინტაქსური წყვილები.

„არყოფნის ნაფოტი“ („ცხოვრების ხეს ისევ სცვივა აქ არყოფნის ნაფოტი“), „მყინვარწვერის შუბი“ („ზეცა, მიწას განეგმირა მყინვარწვერის შუბით“), „თოვლის ოკეანე“ („სვანეთი თოვლის ოკეანეა“), „მშიერი დილა“ („მშიერ დილას გადაუგდეს მთვარე ძვალივთ“), „ცეცხლოვანი ხმა“, („ცეცხლოვანი ხმა მესმის დილით“), „უამი ვერაგი“ („სფინქსივით კვლავ დუშს უამი ვერაგი“, – „ვარსკვლავების მეჭეჭები“ („არ ურჩება ლამაზ დამეს ვარსკვლავების მეჭეჭები“), „ვასკვლავის ჭაღარა“ („და ერევა დამეს თამაში ვარსკვლავების ჭაღარა“) „არყოფნის იარები“ („გაიფურჩქნებიან არყოფნის იარები“), „ლექსების ქოხმახები“ („და გარდაცვლილი მამა-პაპანი ჩემი ლექსების ქოხმახებში ცხოვრობენ მხოლოდ“). „ყინვის ცხრაკლიტული“ („ამტვრევენ ყინვის ცხრაკლიტულებს“), „დამის ბუდე“ („მერე მთვარე დააჯდება დამის ბუდეს“) და ა. შ.

სტრიქონები მეტაფორებად:

„და ვარსკვლავები მთვარის ბორბალს მიაგორებენ“, „ქარმალრუბლების ხურჯინს თავი მოუკრა“, „სიცოცხლე სიკვდილის თანმდევი ლანდია“, „სტრიქონებით ვფარიკაობ“, „მთას დაუკიდა კული მდინარის“, „მაშინ აჟვები ვარსკვლავების ყვითელ ქვაფენილს“; „მთვარე მზე არის, მაგრამ დამით ის არის ცივი“, „ხარობს სიტყვის თავთავი მითებიდან მომდინარე“, „მთვარე – ცის მიქედილი თავიანი ლურსმანია“; „ქართული სიტყვის ედემში ნაყოფი ვკრიფე, მე მწიფე“. „დამეს ელვის მახვილებით გულს უპობენ“, „ისე ცვივა სიტყვები, თითქოს თუთა დაირსა“, „ჩვენ სიცოცხლეს საბანივით გადავიხდით“, – ვარსკვლავები ლვთის შესაწირი ბატკნებია“; „არყოფნისაკენ ვიღტვი, ვისწრაფვი, რადგანაც ყოფნა არაფერია“, „ნისლში პრეიისტორიის იძირება კოლხეთი“; „ტალღა შემდგარა, ქარიშხალის მაღალ ქუსლებზე“; „მიმწუხრს მთვარე ჩიბუხივით ეკავა“, „ან თავს



შეგაკლავ, სიკვდილო, ანდა შენ შემომაკვდები“.

მაგალითების მოშეველიქბა შეიძლება დაუსრულებლივ.

პოეტის მეტაფორიული ხედვა იგრძნობა ცალკეულ სტროფებში:

აიგანზე დასავლის

მე ვარ პოეტი და ვარ

მზე ბავშვივით იურვის,

დფოსშვილი

ქარი ფურცლავს ფოთლების –

და ცამ და მიწამ მიტომ მიშვილა,

გაყვითლებულ დღიურებს.

რომ გშრიალებდე ტყედ და

ბალახად.

შავზოხიანი ლამეები

მინდვრის ყვავილებს თესავენ,

ზესთა სამყარო ჩანს უცელელი,

მთვარე კი ცის ტაძარში

დედამიწა კი დიდი წიგნია,

მნათესავით

საქართველოა მისი

დილამდე არისხებს

თავფურცელი

ვარსკვლავებს.

მზე წალეკე გრიგალით

სკვითისა და ასურის,

და ფაცხაში გიგალობს

ცხრა ძე და ცხრა ასული.

მოვარდა ჟამი ძე ვეფხივით მშიერ-მწყურვალი

და წაიხემსა დღეები ჩემი.

მაშინ განრისხდა უფალი და იმავ ბელტისგან
გააკეთა სიკვდილი ჩემი.

მოდის, არ მოდის და გვწყინდება გზისკენ ყურება

და ჩვენ ყოველდღე ნამცეც-ნამცეც



ჩვენი სიცოცხლე
მიგვაქვს სიკვდილის დასაპურებლად.

მთაზე ჯვარი დგას, ახლოს ჩანს მცხეთა,
და ამირანძა უფალს ცეცხლი როგორ წარსტაცა.
ციცინათელა ამბავს ჰყვება
ნაწყვეტ-ნაწყვეტად!

განსაკუთრებით ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ვაჟა ეგრისე-
ლის მეტაფორული ოსტატობა მხოლოდ სიტყვებში, პოეტურ ფრა-
ზებში როდი ბრწყინდება. იგი სშირ შემთხვევაში, მთლიან ლექსებს
მოიცავს და გვევლინება ლექს-მეტაფორად! როგორც იტყვიან, მაგა-
ლითები აურაცხელია. მოვიხმობთ მხოლოდ ტიპიურს.

შორს, ღრუბლები
ცის მინდორზე დამეს ძოვენ,
იმზირება მთვარე მორცხვად
და ვითარცა მეტოვე
ვარსკვლავთა მტვერს ჰგვის და ცოცხავს.

როდესაც დამწვავს ტრფობა მამულის,
მსურს ჩემი ფერფლი ლოცვა-კურთხევად
მშობლიურ მიწას გადაეყაროს,
რომ იგრძნოს ჩემმა ეზომ, კუთხემაც
და მერე?
მერე – მთელმა სამყარომ.

ქართველების სიყვარული –
მზეზე გდია და სულს დაფავს.
რადგან სიძულივილის დვინო
ქმათა ზიარ ჭურჭელიდან



ვერ იქნა, ვერ ამოხაპა
ვერც ვახტანგმა, ვერც დავითმა,
თამარმა და მისმა პაპამ.

დღე და დამე კი, ვით ყველარი ჩელა და ბუსკა,
რომლებმაც მარად სატანჯველში შებმა ისურვეს.
და არ აშინებთ წვიმა და ქარი.
ვეება ბორბლებს აბრუნებენ მზისა და მოვარის,
და ეწევიან ოქრო ვერცხლით სავსე ცის ურემს!

ასე რომ მივყვეთ ტომების სანახევროდ გადმოწერა მოგივწევს
აზრის ნათელსაყოფად. დამატებით დაგომოწმებ არა მცირე სტრო-
ფიან ლექსს, რაც საერთოდაა პოეტის სტილად მიჩნეული, არამედ
ერთ მოხრდილ პოეტურ ნიმუშს, რომელიც თავიდან ბოლომდეს მე-
ტაფორული მარგალიტითაა გაწყობილი, უფრო სწორედ, ერთი,
მთლიანი მეტაფორაა.

გოისა!

გდევადა ჯარი პიროსის, ზვაოსანს და მოისარს,
პონტოს სანაპიროზე შენი ხმა რომ მოისმა,
ვოისა, ვოისა-შენ, უხსოვარ დროისა.
წარსული კვლავ იძღვრევა მახვილით და არფითა,
მესმის შენი სიმღერა ლაზის თეთრი აფრიდან,
ვოისა, ვოისა-შენ უხსოვარ დროისა,
მზე წალეჭე გრიგალით, სკეითისა და ასურის,
და ფაცხაში გიგალობს ცხრა-ძე და ცხრა-ასული
ვოისა, ვოისა-შენ უხსოვარი დროისა.
ეამი წყლულს ვერ ამრთელებს, მტერი ბნელში შეგლისე,
ადგას შენი ნათელი დმერთკაცს – ჯაგუ ეგრისელს.
ბრწყინავს შენი კოლხეთი, შენი მტერი მოისრა,
ვოისა, ვოისა-შენ უხსოვარი დროისა!



მეტაფორული აზროვნების შედევრია ვაჟა ეგრისელის „შავლებო“, რომლის შესახებ, როგორც დასაწყისში მივანიშნეთ ჩვენმა ცნობილმა კრიტიკოსმა, ლიტერატურაომცოდნებმ და მთარგმნელმა სოსო სიგუამ ბრძანა: „გარდა შავლებისა“ რომ არაფერი დაქარგვა ვაჟა ეგრისელს, ამ ლექსითაც დარჩებოდათ ქართულ მწერლობაშიო. უანრობრივად „შავლებო“ ლირო-ეპიკია, რაც იმაზ მეტყველბს, რომ პოეტს მხოლოდ მცირე ლექსთა წერა როდი ხელეწიფება. ჩვენ გვხიბლავს „შავლებოს“ ტროპულ-მეტაფორული სიდიადე. მოვიხმოთ დასაწყისი:

შავი ჩოხა სისხლში ბეჭრჯერ გაიხამე,
მაცხოვარმა, რადგან ასე ინება,
შავლებ ბიჭო! ტანთ გაცვია ქართვლის ღამე,
ვარსკვლავები შოგ გიწყვია ქილებად!

მაღალი პოეტური ხედვაა – „ტანთ გაცვია ქართვლის ღამე“. ასეთი მარგალიტებით სავსეა ვაჟა ეგრისელის მთელი პოეზია და ჩვენც მარგალიტებში გეტბთ მარგალიტს. მისი ლექსები მარტო პრეიისტორული თუ ისტორიული წილსვლა როდია. პოეტი ჩვეული ცხვოლებულფერობით გვესაუბრება ყოფით რეალობაზეც. ზღვარდაუდგბელია მის შემოქმედებითი ნოგატორობა, რაც უპირატესად თვალხილული ხდება იმ მხრივ, რომ ვაჟა მოვლენებს აღიქვამს „სილამაზის კანონების მიხედვით“. ამ „კანონის“ განუხრელი დაცვა მოანადიორებინებს პოეტს მაღალმომთხოვნი მკითხველის გულს. ხშირად ეგრისელი თითქოს უბრალო, შეუმჩნეველ ყოფით მოვლენებში ამოიცნობს მშვენიერს და მიმზიდველს. უინგალის არქეოლოგიურ მონაპოვრებში მან შეამნია წარწერიანი ქვა. წარწერიანი ქვა გველა ქართველ მოდვაწეში აღძრავს განსაპუთრებული განცდებს, მაგრამ პოეტისთვის იგი აპიორულად შთამბეჭდავი მოვლენაა. დიახ, დაუოკებელი ინტერესით დააკვირდა იგი არქეოლოგიურ ძეგლს და აი, რა ამოიკითხა: „ჩემს მშობლებს თვრამეტი ქალ-ვაჟი ვყავდით. მე



ცხრამეტ შვილს ვტოვებ, თქვენ?..“ ასინეთ შავერზაშვილი!“ – არაჩ-ვეულებრივი და ორიგინალური პატიროტიზმით დამუხტელი სინამ-დვილეა, და გაჩნდა ლექსიც – „ასინეთი“. „მე ცხრამეტს ვტოვებ, თქვენ?“ – სვამს კითხვას წარწერის ავტორი და ვაჟაც შემოქმედფ-ბითი აღტკინებით შესძახებს:

„შენ გაიხარე, რა სიმაღლეა,
ცხრამეტი აკვნის რწევის ხმა რომ ქართველს ასმინე,
მზით მოკაშვაშე საქართველო შენი სახლია,
დედა ასინეთ!“

დიახ, ერთხელ კიდევ გამოვლინდა პოეტის ორიგინაული-ნოვა-ტორული ხედვა.

მრავალფეროვანია ვაჟა ეგრისელის პოეზიის თემატიკა. ამის თაობაზე ნაწილობრივ ვთქვით?! მრავალთა შორის განსაკუთრებით იყვეთება სიკვდილ-სიცოცხლის, ყოფნა-არყოფნის ფილოსოფია. წარმოიდგინეთ, ყოფნა-არყოფნის პრობლემაც „სილამაზის კანონიერების“ პოზიციიდან აქვს წარმოსახული პოეტს. იგი სიკვდილშიც ხე-დავს სილამაზეს.

ყოფნა ფლიდია,
არყოფნაა მუდამ ერთგული,
წუთისოფელი, როგორ ნიორა,
მიდის სიკვდილის უღელს შებმული
და ჩვენს სიცოცხლეს მიიცოხის...

რაა სიცოცხლე? კაცობრიობის მცირე სოფლიდან,
დიდ-დიდ სოფელში გადასვენება...

ათასამდე ლექსი მიუძღვნა ვაჟა ეგრისელმა ყოფნა-არყოფნის (სიკვდილ-სიცოცხლის) თემას და, როგორც ვთქვით, არყოფნაში მფ-ტი სილამაზე დაინახა, ვიდრე ყოფნაში.

ცხოვრება გვტანჯავს და გვაწამებს,



ეოველდღე შხამ-სამსალას გვისხამს,
მიტომაც სიკვდილი ფეხდაფეხ დაგვდევს,
რომ სიცოცხლისგან გვისხნას.

ან პიდევ

იმედების ნაპერაწყალი მიაქვთ ჩემი
დღეთა ქორებს,
წლები ადგვს აბედებად,
სიცოცხლეშ თქვას
ქვეყნად თორემ,
სიკვდილი კი არ ბერდება.

სიკვდილ-სიცოცლხე გვერდიგვერდ სახლობს,
წაგალთ, გადავალთ ჩვენ მეზობლისას“

რა გამოდის? სიკვდილი იმეტებს სიცოცხლეს, მაინც რაა სი-
ცოცხლე? – ვინ იცის მერამდენედ სვამს კითხვას და სულის შემ-
ქვრავი სტრიქონებით პასუხობს:

ბუხრის კუთხეში მიმჯდარი დედა,
აი, სულ ახლა მიქსოვდა წინდას,
ჩამაცვა, მკლავზე გადამიწვინა!
სიცოცხლე რა? – თითქოს და წვიმდა.
წამი და უცებ გადაიწვიმა.

სხვისი რა გითხრათ და ჩემთვის ამ კითხვაზე უკეთესი პოეტუ-
რი პასუხი შეუძლებელია. აქ ყველანაირ ყოფნას წერტილი ესმება.

აი, როგორ „მიააგთანდილებს“ ლირიკულ სამყაროს ვაჟა ეგრისელი.

ვაჟა ეგრისელი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც, გაისიგ-
რძებანა წინანტიკურრი და ანტიკური მითოლოგიის ლაბირინთები.
მის ლექსში ხორცს ისხამენ გარდასულ ეპოქათა პერსონაჟები, გან-
საკუთრებით ქართული მითოლოგიის უკვდავი სახეები: აიები, კირ-
კე, მედეა, იაზონი, ამირან-პრომეთე, იახსარი და მრავლი სხვა.

ცნობილი ქართული მითოპოეზის უკვდავი ლექსი „ბჟა“ („მზე



დედაა ჩემი“). იგი ვაჟა ეგრისელს პირდაპირი მინიშნებით არსად გამოუყენებია. ლექსი, თავისი შინაგანი სემანტიკით, მთლიანად მი- თოსურია, როცა ეს ლექსი ითხვებოდა, მაშინ ჩვენი წინაპრები ეჭ- ვმიუტანდად ფიქრობდნენ, არა მის გადატანით მნიშვნელობაზე, არამედ იმაზე, რომ მართლაც

მზე დედა ჩემი,
მთვარე – მამაჩემი,
და წვრილ-წვრილი ვარსკვლავები –
დაა და ძმა ჩემი!

დღეს კი ბწყარები აღიქმება, როგორც მეტაფორა, – მზე, მთვა- რე და ვარსკვლავები – ლირიკულ გმირებად.

დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ მითოსური სახეები ვაჟას „აოლეური ფსალმუნების „შემოქმედებითი პირველწყაროა“. ჩვენ ადვრიცხეთ პოეტის უამრავი ლექსი, სადაც აშკარად იგრძნობა (რა- საკვირველია, დღეს უკვე მეტაფორული გარადასახვით), მზე რომ დედაა, მთვარე – მამაა, და ვარსკვლავები და-ძმები, რომ ისინი, ნამ- დვილად, ერთმანეთის ნათესავები არიან. აი მაგალითები:

გადმომყავს წარსულიდან ხსოვნის ძაფით –
მზითმოსილი სული კოლხი წინაპრის.

მზეო, ოჲ, მზეო, მოდი ხშირ-ხშირად.
ხსოვნის ბილიკი ამიტალახე.

გამთენისას ერთი ვარსკვლავი
ზეცას აწყდება, ვითარცა ღილი,
რომ დამეული წყვდიადი შესვას.
მზის ცეცხლოვანი ხმა მესმის ღილით,
მიმწუხრისას კი მთოვარის კვნესა.

დღისა და დამისა ჭრიალებს კარი,
კანკალებს ელვა – დვთის შინებია,



ადამი – მზეა, და ევა – მთვარე,
ვარსკვლავები – მათი შვილებია!

გარინდდა სივრცე, ცამ ღვთისმოშოშმა,
ელევის პირჯვარი გარდაისახა,
და სადღაც მზე – მთვარეს ეამბორა,
დამის საშოში ვნახე ვარსკვლავი, ვით ჩაისახა.

მოხმობილ სტრიქონებში აშკარად იგრძნობა, რომ მზე მთვარის მეუღლეა, ვარსკვლავები მათი შვილებია. „მზითმოსილი სული“ კი „კოლხი წინაპრის“ სულია. ჩვენ ამის დასტურად შეგვიძლია საკმარდ ბევრი ლექსის მოხმობა, რაც წარმოაჩენს იმ ფაქტს, რომ ვაჟა ეგრისელს აქვს ფართო შემოქმედებითი დიაპაზონი, რომ მითოსი („ერთი ციცქა ლექსი“) აქციოს პოეტური სინამდვილის წყაროდ.

მოკრძალებული პოეტური ფქრებით მიჩნას ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ბიბლია, მაცხოვრის მაღლი, მამულის სახე, მშობლიური სითბო, ქალის სიყვარული და ა. შ. განსაკუთრებულ ხაზგასმას მოითხოვს პოეტის თხზვის ოსტატობა, საგულისხმოა, რომ ვაჟა ეგრისელი მდიდარ მასალას აწვდის ქართულ პოეტიკურ – მეცნიერებას: ლექსის რიტმული და რითმული ორიგინალური თანაფარდობა, ბწყარ-ხტრიქონთა განლაგების ინდივიდუალური ხერხი, უსათაურო ლექსთა შექმნის სტილური ხასიათი. თუმცა ეგრისელი არანაკლები ოსტატი ჩანს დიდი ლექსების ქმნადობისასაც. ამის ბრწყინვალე თვალსაჩინოებაა მისი ლირო-ეპიკური ნიმუშები: „შავლებო“, „ასინჯტი“, „გურამიშვილის გოდება“, „გამარჯვების კანტანტა“, „საქართველო“ და სხვა, რომლებიც გაჟღენთილია ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით და შესატყვისი პოეტური საზომით.

გ0ზო ჰელიძე
მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი



ზღვაო

შენში ძველ კოლხეთს ვხედავ
და ზვირთებიდან მესმის,
კოლხური ენა და
კილო!

ზღვაო,
შენ ჩემო დედავ,
ჩემო ძმაო და შვილო.

1959

ქართველი ქართველს უადევობა

- არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა, –
ქართველმა ქართველს უანდერძა
და დაუბარა.
მომკვდარა, მაგრამ
რწმენა მკვდარი
არვის უხილავს.

ჯორჯიაშვილმა,
გრიაზნოვს რომ სტყორცნა
ყუმბარა,
დღესაც ჩაესმის საქართველოს
მისი ქუხილი.

1954



ბზა შორეული

დავიბადებით...

და გზა გვიდევს ძნელი

და შორი,

მივალთ...

გვაწვება მძიმე ტვირთად

და გვხრის ცოდვები,

არ ვიცით რატომ,

სურთ, რომ ჩვენზე

ჯავრი იყაროს.

სიკვდილი რაა,

ზოგჯერ სიკვდილს

ჩვენ ვეცოდებით

და გვეგებება,

რომ მოკლეზე გადაგვიყვანოს.

1970



ტრიატიქი

1

ჰაუ, რამდენი დრო გასულა
და მაინც ჟონავს
შენგან დაღვრილი
სისხლის დელგმა
ვარდებს და ტიტებს,
კეისარ ტიტე!

2

თავისუფლების კოშკს აგებდი
და ისვენებდი,
რა გინდა მუტი,
სევერე სეპტიმ!

3

ცეცხლის მახვილით გადიქროლე
ცა და ხმელეთი,
აწ ჟამმა გდიოს...
კასიუს დიოს!

1970

ასეა ხგეღრი

მე ვუფრთხილდები სინდისს და ნამუსს,
გიო ქამარ-ხანჯალს –

დანატოვარს
მამა-პაპათა.

ჩემი სამშობლოს სიყვარულის მიღვია
ნაღმი

ბალიშის ნაცვლად თავსასოუმალთან.
მერე მოვკვდები ლაფაროსთან,

ვითარცა ძაღლი,

ასეა ხგეღრი,

წუთისოფლის ყველა სტუმართა.

1967



ო, ღმერთო, ოობონ გაგითამამდი

წევს სიზმარეულ სიჩუმეში
ცისკრის სამანი
და ვარსკვლავები
დამეს არყევენ...
შენთან ვსაუბრობ, ღმერთო!...
როგორ გაგითამამდი.
და ულაყივით,
ჟამიც ყალყზე
ვით შევაყენე,
ჩემი პატარა სტრიქონების –
მოკლე ქამანდით.

1961



ოხრავს ეზო

შორს,

ქარები – ყაჩაღები,
ქალწულ ხეებს ატიტვლებენ.
აქ კი კოცონს აჩაღებენ
მიხაკები და ტიტები.

ცას –

ახველებს და მიზეზობს,
წუხს კამა და ანისული,
დედა არ ჩანს... –
ოხრავს ეზო,
დედის ფიქრით დანისლული.

1983



0სეგ მოწვევისი

წლებმა ჩემს ცაზეც გადაიგრგვინეს,
უიმედობის მეხთატეხამ
შთანთქა ყოველი...
მაგრამ როდესაც მტერს და მავნეს
გუთხარ “არული”,
ადიდდა სული...
და ამობრწყინდა ის მზე,
ის ხატი.
და ახლა ველი –
შტოს სიხარულის,
როდის მომიტანს მტრედი ნისკარტით.

1970



ციცინათელა სინათლეს კვესაში

მთვლემარ ნაპირთან ტიტველ-შიშველი
ჭყუმპალაობენ
ცელქი ტალღები.

თეთრ ფანტელებს კი ალუჩა ბარდნის.

ციცინათელა
დამის კვესზე
სინათლეს კვესავს.

და სადღაც, მიღმა
სინათლის ფარდის,
ზღვის თუ სულდგმულის მოისმის კვნესა.

1979



ხორბის სასაფლაო

ცის სამრეკლოში შემდგარი ღამე
ისევ არისხებს
მნათობთა ზარებს,
აღსავლით ცისკრის ირწევა ანძა
და ისმის ლოცვა:
„ქოგუალე ღორონთ
სქან ოროს“* –
ცისკუნ მზირალი დიდი ცაცხვი
მიაგავს ტაძარს,
და მკვდრებს უგალობს
“სულთათანას”
ჩიტების ქორო.

1971

* – შემოვევლე შენს ჩრდილს, ღმერთო (მეგრ)

შავითმოსილი ქარიდან-ქარად
დადის და...

დამხდურს
ხერხემალს უმსხვრევს,
საწუთოს –
თავზე ბროლიფით აფშვნის.
დღეისდღეობით კითხულობს სულ სხვებს,
მაგრამ ერთხელაც
მეც მომაკითხავს
და... რა ვქნა მაშინ?!

2001



სინახლი

ალბათ ასეთი იყო ნება
ლვთის და განგების,
ვიმუშაკე და ამაოდ დავშვრი.
უმცირესია ჩემი
ნადავლი.
და ისე კპვდები,
პოეზიის –
უბელო რაშის
ო, თუნდაც ერთხელ
ვერ ჩავიგდე
ხელში სადაცა.

2001



ეზმანება აღა-მაკმად-ხან

ჩემი თბილისი...

მთვარე...

ჩრდილთა ფიანდაზები...

მტკვრის “ბუტბუტში” კი

ისმის ცივი ხმები

საზების.

დუმს შავნაბადა...

დუმს მეტები...

დუმს ნარიყალა,

თუმც მტერზე ჯავრი ბევრჯერ იყარა.

კრწანისის ველი,

რომ შეკრთება

ძილში ხანდახან,

ო, ალბათ დაღლილს ეზმანება

აღა-მაკმად-ხან!

1950

0ქ0დან

ელვა...

სამყარო შთანთქა წყვდიადმა,

ჩაქრა მნათობი –

თვალები ჯიქის.

ქუხილის ხმები –

სველ ღრუბლებში

გადაიხიდა

და ვიღაც კივის:

ნუ მიხვალ იქით,

არვინ ბრუნდება უკან იქიდან.

1990



ქართული მიწა

ფხიზლად!

საავდრო დაგვცერის

ღრუბელი,

შავით შემოსილი, ვით ჭირისუფალი.

მისხალი მიწა არ წარგტაცოს

სიავის მდომმა,

მიწა დვთის ნაკურთხი;

ამიტომ უფალი,

ცისარტყელას შვიდფერი საჟენით ზომავს.

1989



გათხოვებისას

ირგვლივ ქოველი –

დაგიწყებით მიმომოვარულა,
უქორწილია აქ სიკვდილს და
არა ჩანს მრევლი.

ეტყობა,

დიდხანს რომ მჯდარან პურად.

წამოწოლილი მხართებოზე,

მიბდვერის ქვევრი,

დგას ყელმოღერით

მაღალი სურა.

1962



მოგონებას მივასათვთვე

ქორა ქოროვას ხსოვნას

შორია ხსოვნის თვალსაწიერი:

თენდება,

ქარი...

შენ და ქარი ბერტყავთ

ხაროვთებს,

გაცრილ ნისლში წევს მოები –

ურთა – აბასთუმანის.

ახლა კი არ ხარ...

მოგონებას მივესათვთვე

და შეგუსწორე სიყვარულის

თავსასთუმალი.

1962



ბარათაშვილი

მწუხარისფერს ლოცვად ენო
სანთური.

გოდებდა სული –

უვალ გზებზე მოხეტიალე,
რადგან საწუთომ
ყორნისფერი, ცა დააძალა,
რადგან ცისფერი,
მიმწუხარისას ვერ გაიხსენა.

უკვდავებაში მიმავალმა,
კვლავ ილოცა –
“ვპოვე ტაძარი”,
მერე დაღლილმა მთაწმინდაზე
ჩამოისვენა.

1959

შენი სიშორე

სილურჯე წვეთავს –
ია-იების,
და გაზაფხული
იღიმება სველ მიმოზიდან;
სოკოები კი,
მოკლე კაბებს
მზეზე იშრობენ...
დავიწყებიდან მწუხრმა –
ქარის კალთით მოზიდა,
შენი წყურვილი,
შენი დარდი,
შენი სიშორე.

1972



ზოქრიანი ლამე

სიმაღლისა და სიგრცის მპყრობელი
მთვარე გადმოდგა
ცის გუმბათიდან
და დედამიწა, როგორც ფიალა,
შუქთა შარბათით
ისევ ააგსო...
მერე ვით დევმა, მომიქნია
ლამემ
ტიალმა,
მომიქნია და...
ფიქრებში კვლავ ჩამფლო
ყელამდი.

1964



დჟმან სივრცეები

მამლის ყივილზე ღამე მოკლდება,
მნათობებს გული უსკდებათ
და ზეცას ეკვრიან.
შუპასთან შავი აჩრდილები
კვლავ აილანდნენ
მსურველი ბნელის და დაღამების.
დუმან სივრცენი,
გზაზე დილამდე,
შიშის ძაღლები დაღავდავებენ.

1966



მხოლოდ სამშობლო, სხვა არაფერი

კით ბრძოლით დაფლილ ჩვენს დიდ
წინაპრებს,

წინ მიგვიძღვდა
მეხთა-მძღვვი

ხმა –

სიმართლისა,

მზის და სიცოცხლის გაშლილ აფრებით.
და თავზე გვედგა ჩაუქრობელ სვეტად –

ნათლისა,

მხოლოდ სამშობლო,

სხვა არაფერი.

1960

ის ციცქა ტოტი

მიმწუხრის ბაღში თენდებოდა

ჩიტის გალობა,

სოფლის სურნელი ასდიოდა

სევდიან მოტივს,

ვთქვი:

ეს ფოთლები

ჩემი ფიქრია

და დაფრთხა ჩიტი,

და რომ იჯდა

ის ციცქა ტოტი

შეატოკა და...

ხელივით დამიქნია.

1959

ୟଦିଗିଲେ ଜାଗତ ରହିବାଲୋ

ବାରସକୁଳାଗ୍ରହିତ ବାଦାବର୍ଷିଯୁଦ୍ଧ
ବିନ୍ଦୁ ପ୍ରମାଣିତ
ବିରାମାଲ୍ଯଦିବି
ଅକ୍ଷରତଥିର ମିଥିଗ୍ରହି ଲାନ୍ଧର୍ମହିମା
ଶକ୍ରାଙ୍ଗ କାରିମିଶବଳ
ବ୍ୟାପିରତତା କଲାପିଶେବ୍ରି,
ବ୍ୟାପିରତତା କଲାପିଶ୍ଵରି,
ବ୍ୟାପିରତତା କଲାପିଶ୍ଵରି,

1961



რას იზამ, პარბო

ალბატროსივით ცაში დაფრინავს,
მაგრამ მიწაზე გაიაროს,
მას “ფრთები უშლის”.

თავს იკლავს...
იხრჩობს...

და ადარ გრძნობს
ქენჯნის ნატამალს.

რას იზამ,
პარბო,
პოეტის სულში,
ზოგჯერ ღმერთი ზის,
ზოგჯერ სატანა.

1993

ამონგლი ცეცხლის მაჩვილი

დამის მიღმიდან ისევ ისმის
დღეთა ყივილი,
ყოფნა-არყოფნის
ერთად მნახველი.

სადღაც ზესკნელში –
მნათობების
მოჩანს უდრანი.

აქ,
ჩემს ცაზე კი,
ამოწვდილი ცეცხლის
მახვილით,
ზევ ისევ მიღის დასავლეთით
და მიბუღრაობს.

1981

რისთვის და რატომ

რბიან ტალღები უპუქცეულნი,
არ მიკარებენ სიახლოვეს
მოყვას და
სტუმარს,
ასე ჩვევია მის ჯილაგს და უგულო
გვარ-ტომს.

სულ არაფერი...
მე მოვავდე უმალ,
ზღვამ თუ იცოდეს,
რომ აღელდა,
რისთვის და რატომ?

1969



მე სიყვარულის გორგალზე გახვევ

ამაოება...

საწუთოოის კუპრის დუღილში,
იზლაზვნის ჟამი და მიიცოხნის...
გზა-გზა არყოფნის

ციკ ტოტებს

არხევს.

მე გაწყვეტაზე მიღეულ ძაფს –
ჩემი სიცოცხლის,
პელავ სიყვარულის გორგალზე ვახვევ.

1991



ზღვისპარად

ამა ქვეყნიურს უეცრად მოწყდნენ

და ჩაიძირნენ

არყოფნის ფსკერზე.

სისხლს გაუმართავს ძარღვებში დოლი –

აჩქარებს ნდომა

და ვნება წუწყი.

ქალი –

ვაჟის მკერდს კბენსა და

ლოღნის,

ვაჟი –

ქალის ტუჩს წოვსა და წუწყის...

· ·

ზღვისპირს სულს ღაფავს ოხვრა და კვნესა.

1980



3001203 ჩემი მოსაბონარი

ზურაბ და დაჩი.

ჩემი ქონება,

რასაც გიტოვებთ, ყველა აქ არი:

ორიოდ წიგნი –

ჩადებული

შავი ზონარით,

თეთრი ფურცლები და წათლილი

ხუთი ფანქარი

მაგიდაზე დევსე,

ვითარც ჩემი მოსაგონარი.

1977



მგალობელ ჩიტივით

როცა ჩამესმება ფრთისრხევა
ციერთა
სულგალადებული მიწიერ ლოცვებით
და დამით,
როდესაც სიყვარულს
შევვალი,
მიყვარს სასწაულად
მე შენზე ოცნება –
მგალობელ ჩიტივით –
გულში დამწყვდეული.

1969



გურიაში

შვილწართმეული დედების მოთქმა
ისევ ჩაესმის
ანაკლიას

მწველ წარსულიდან...
ხოლო, შორს სადღაც –
კრიმანჭული
ისმის გურული –
მთაში ამავალ ბილიკივით –
მიხრილ-მოხრილი.
დელის პირას კი ვევბა გუ –
ტყით დაბურული,
სჩანს მიტოვებულ ციცქა
ქოხივით.

1968

ქართლის წარსული

ჟამმა ვერაფრით ვედარ დანისლა
ქართულ მიწაზე ყოფნა,
არყოფნით,

ჩემი დიდგორი,
ჩემი კრწანისი,
საარაგვო და ველი მარტყოფის.

შუბლშეჭმუხვნილი,
მტკვარზე პვლავ ტივით,
ქართლის წარსული დაიარება.

კი,
დრო მკურნალობს,
მაგრამ მაინც
ვერ ირჩენს ტკივილს
და სტკივა ძველი ნაიარევი.

1965

წლებმა უდაბურ გზებზე ჭენებით, –
ჩემი სიცოცხლის
დახრეს აღვირი,
მაინც არ წყდება ულმობელი
ბედის ყველება...
ჟამს მიმუშარისას
ბრძოლით დაღლილი,
ზღვის სიმარტოვას
მივეპედლები.

2001



ზღვიდან თვალს მიკრავს ერთი მნათობი,
მე რომ სიცოცხლის

ბედად დაგსახე.

კვლავ შევციცინებ –

ჩემი ქართლის –

ცას მოოქროვილს:

თვალ-მარგალიტით აღსავსეა დამის

სასახლე

და... ადევს მთვარის დიდი ბოქლომი.

1962



ცაში იშვა და...

ცეცხლი ისევ მიიწევს

ცისკენ

კვამლის შავი და მსუბუქი ფრთებით,
მიწაზე ტოვებს ოქროსფერ გვირგვინს
და გზად იგრილებს შუბლსა და

პეფას.

დღის ბილიგზე კი,

ადამის ძის სიცოცხლე

მირბის,

უკან სდევენ და...

ლამეების მოისმის ყეფა.

1962



ცის სიმყუდროვეს ქუხილი არღვევს,

ვარდისფერ ძაფით

ელვა ბნელს ლამბავს

და უხილავი ცეცხლით ეწვის

ფერმკრთალი თითი.

გამოჩნდა გემი,

და მახარობლად

ნაპირს მოასკდა კვლავ

სირბილით დაღლილი ზვირთი.

1964



მზე ამოვიდა

ლამის მომწვანო კუნძულებთან
 ტირის სიბნელე
 და ბრმა თვალებთან ვედარ მიაქვს
 ელვის თითები.
 აღსავლით ცა კი
 იმოსება ძოწით,
 მოვითა.
 და მერე გვიან, როგორც ცეცხლი
 სიჭაბუკისა,
 ჩვენი სიცოცხლის გაგრძელებად –
 მზე ამოვიდა.

1958



დღე —

დედოფალი მზის ბაჯალლო
მედალიონით
და ცისარტყელას ფერადი ქამრით,
დამე კი ნეფე შავი ჩოხით და მთოვარის
თეთრი ქილებით,
ცად მობრძანდება ვარსკვლავების
ურიცხვ მაყარით

და...

მათი შექრა ღმერთმა ინება.
გზივარ ზღვისკარად,
და შევჭრებ სულისმილევით,
დღისა და დამის დაქორწინებას.

1958

ლ. ა. -ს

იმედი პყვავის და

ჯერ ადრეა,

შუბლს ნუ შეუშვერ

ფიქრთა შადრევანს.

უნდა გაიხსნას

ცისკრის კარედი —

წუხილით,

სევდით და ნეტარებით.

ძეგს წიგნი,

შენი ცრემლით მორწყელი,

და შენ შიგ დგახარ

ნათლის სვეტივით —

ჩემზე მლოცველი და

ღვთის მორწმუნე,

სულელი,

მაგრამ უდვოლდ კეთილი.

1964

მათ თქვენ გიტოვებთ

მოულოდნელად აფეთქდა გული,
გული კი არა,
მაღალ მკერდში –
ნაღმი მდებია.

რადგან მოსვლიდან ბედოან თამაშს
აღარ იშლიდა.

მწამს, ჩემი ზღვები –
უჩემობას აბლავლდებიან,
მათ, ოქვენ გიტოვებთ,
მოეფერეთ და დამიმშვიდეთ.

2018



ასე მგონია

მე ჩემმა ბედმა თუ უბედობამ –
ზღვის სიყვარული
მოსვლის დღიდან
თავს დამარისხა,
თუმც არაფერი არ დავუშავე·
ასე მგონია:
რომ მოვკვდები,
ჩემი შავი ზღვა –
ტანზე ჩაიცვამს მწუხარებას
უფრო უშავესს.

2000



ყორანი

ის იყო, რომ მოვიძიე გზა –
ბედს იქით,
წინ რომ დვინო ლალისფერი მედგა,
მოვსვი,
წამს ყორანი შემოფრინდა თვალბედითი,
ტატოსი თუ ედგარ პოსი
და დამჩხავლა:
ქრისტე ხარ თუ მადიარი,
სულ ერთია, საითკენაც გიმგზავრია,
ყველაფერი,
ყველაფერი ცხადი არი,
ყველაფერი...
ყველაფერი სიზმარია.

1969



სამიზნე

შემოხაზული ლამაზ წრეებად,
ჩვენი ცხოვრება –
შიშჩე მიკრულს
მოჰვავს სამიზნეს
და მე ყოველთვის “ცხრიანს” არა,
“ათიანს” ვზვერავ.
და როცა მიზანს
ჩავდებ ჩემი გულის
ლულაში,
მაშინ შენს თვალებს –
სამიზნისკენ
გაურბის მზერა.

1972

აღმოსავლეთით ფრთებს შლის ცისკარი,
“ქართლის ცხოვრება” –

წარსულს მიღამპრებს.

მთვარე ჰქიდია სიშორები, ვით ბუმერანგი.
და კოლხურ დამეს,

ბრძოლით დაღლილ, ვით ჩემს
წინაპარს,

ტანზე აცვია გარსკვლაგების
ჯაჭვის პერანგი.

1969




უხმო სერობა მეფობს ფრთოსნების,
წუხს მწუხარების საუფლოში ხმა
ქერუბიმთა,
მკვდართა სულებში ამაყად დგას ბებერი
ცაცხვი.

ხანდახან ელვა გაუფატრავს დამეს
შავ მუცელს.
მოწყენილი ცა ისევ თესავს სიბნელის
მარცვლებს,

მაგრამ მიმწუხერის ვარსკვლავები კენკავენ
უცებ.

1964



დიდი პავანი

ზურაბს და დაჩის

ჩემი დროც მოვა,
ჟამი დარეკავს დიდი
პავანის...

თქვენ ძმები ხართ და...
ღმერთმა გაშოროთ ბედი
შაგ-ბედი
აბელ-კაენის.

კაიკაცობა, –

შეურყვნელი ღვინოა ძელგი,
რომელსაც მუდამ ღვთის მადლი და
მირონი

შვენის.

ჩემი სამშობლოს –

სიყვარულის
დამადგით ძეგლი...
და... უკვდაგება იქნება ჩემი.

1978

მიზოგებული ეპლესია

გადავიწყებას
 ისევ უხმოდ რეპენ
 ზარები,
 მლოცველთა ცეცხლი ჩამქრალა და
 ყრია ნაცარი.
 არც კვირის წირვა,
 არც მსახური,
 აღარც მნათვ, და
 მხოლოდ ჭინკების ისმის
 ტკარცალი
 მიტოვებული ეპლესიის ცივ
 გუმბათიდან.

1963

პრეზიდენტი

სარკოფაგიდან აღსდგა
არმაზი,
სულ სხვა სიცოცხლით
და სილამაზით.
აღარსად შური...
მტრობა,
ომი გაუთავები.
და ახლაც არაგვს,
და საარაგვოს, –
მთვარე დანათის
ერისთავების.

1971



სოფლის დილა

ცის ლურჯ ტაბარში –
 არ ისმოდა ზარი –
 მთიების,
 აღარსად ჩანდა მრევლი მნათობთა
 და არც დრუბლები –
 მწირი ბერები.
 ვეფხის წიგნს პგავდა მთვარით
 გადაშლილს,
 ნარინჯის ყდაში –
 ზღვით ჩასმული
 ჩემი სოფელი.
 მზე –
 ყრმა იესო ეჯდა კალთაში,
 ქალწულ დილას და...
 დაგვეურებდა, ვით დვთისმშობელი.

1966

მამის სიპვდილი

სისხამ დილიდან
ჩემს აივანთან,
ტოტიდან ტოტზე დახტოდა და
აგბედითად უსტვენდა ჩიტი.

და...

შუადღისას მივიღე
“ელვა”,
სად ცუდად ყოფნა ეწერა მამის.
და, მე გავფრინდი...
მაგრამ სიკვდილი
ჩაფრენილიყო ჩემზე ადრე,
სულ ერთი წამით.

1965



ზიქრები

ბრძოლით დაღლილი,
 მარადიულ ტანჯვის ბუდეში –
 წევს დედამიწა ფიქრით ნაშობი,
 თუმც მზე და მთვარე
 ცრემლს უწმენდს
 და უნათებს სახეს.
 სიცოცხლე შიათ და მიწაზე
 დათარეშობენ
 და ჩემი ყოფნა –
 ბუ მგლებივით
 ფიქრებმა დახრეს.

1975



მნათობთა შუა-კერასთან

მოვარე მარტო ზის

ბეჭავი.

მწიფე ცას მეტეორები

ბროწეულივით ხლეჩავენ.

სადღაც ცეცხლის და

სინათლის ხმა ისმის,

ალბათ,

მზე არი,

რომ მიჰყავს აღმოსავლეთით

დამე –

ზათქით და ზრიალით.

1967



არმაზის სამარხები

პირდაღებულნი სდუმან ქვევრები,
 სიმყუდროვეში
 სახამშრალი წევს
 საწნახელი.
 ღვინით გალეშილ ორშიმოსაც
 ფერი უცვლია.
 მიყრილ-მოყრილი დღეები ჩანს
 და ვფიქრობ ასე;
 ჩვენს მამა-პაპათ
 სიცოცხლის თასით,
 წუთისოფელი უსვამთ...
 მაგრამ ვერ დაუცლიათ.

1962



დედაო – მიწავ

შენ ეჭვიანობ –

ცაში ბევრს რომ დავეხეტები,

დედაო – მიწავ, –

ჩემი ფიქრის დიდო ზეკარო.

და როცა დამით გარსკვლავები

დაიწყებს თოვას –

შენ გეშინია –

ცაში ჩუმად არ გაგეპარო,

არა, მშობელო, მიმწუხრისას,

პვლავ შენთან მოვალ...

1963



01-02801 ლურჯი ღილებით

ტყეთა სიმწვანე
და მზის ძახილი,
მთათა ცრემლი და
ნაღვლიანი

მოთქმა მდინარის.

ზამთრის თეთრ ტოტზე მიცოცავენ,
როგორც მღილები.
და მცირე ბორცვზე, სასაფლაოც
თოვლქვეშ
მძინარი,

თეთრად გაღედილ გულმკერდს შეიძნევს
ია-იების ლურჯი ღილებით.

1958



მოვა, არ მოვა

მათი საფლავი ბზის ფესვებით

არ იბზარება.

აღარ ჩაესმით ნაპირის და ქარის

ჩურჩული:

მოვა,

არ მოვა!

მათი აჩრდილი

აფენია

ტალღებს ქარგებად.

ზღვას,

დაღუპულთა სულების

თრთოლვა

დასალიერთან უერთდება და

იკარგება.

1962

ცხრამნათი

ვინც მამულს თავი ანაცვალა,
 ყველა გმირია
 და უკვდავება
 თავზე დანათის...
 ვახტანგი,
 დავით,
 ქათევანი,
 ცოტნე,
 მირიან,
 შალვა,
 ელიზბარ,
 ნინო,
 ერეკლე, —
 სამარადისოდ, როგორც ცხრამნათი,
 საქართველოს ცის სარკეში
 აირეკლნენ.

1965

ცისიღრი და მსასოოვარი

ჩემმა ხსოვნის ცამ აიხადა
რიდე-მანდილი,
დავიწყებაში რომ არ დამალოს
ჩვენი სულისთქმა,
კით სახსოვარი.
და მეფინება გულზე მალამოდ
შენი ჩურჩული,
ცისიღრი
და მსასოოვარი.

1960



ან ასე რატომ ზანზარებს

“შიგან მასრე გავერიე,
გნოლის ჯოგსა ვითა ქორი”.

რა კიგილია,
რა ზარი,
რას მამცნობთ,
დველო წამებო,
ან ასე რატომ ზანზარებს
ფრიდონის ზღვათა
სამეფო
და ველი მულლაზანზარის?

1964



შაშვის სიკვდილი

სიცოცხლის ბაღში
მიმწუხრამდე
მზე იგალობა
და სიმღერებით სავსე სული
როცა დაცალა,
სურომორეულ წიფელაზე ჩამოიძინა.
მაგრამ უეცრად ესმა ძილში
თოფის ძახილი.
შეკრთა...
თვალები ერთი წამით
კვლავ გაახილა,
რათა იმწამსვე დაეხუჭა სამარადისოდ.

1957



ორი არაგვი

ზვავების მჯიდებს

უფსკრულებში მპერდე

იცემენ.

კოპალას ქვასთან,

სიბნელეში უცებ იალებს

დევების ეშვი...

მძიმე ლახტი

და სატევარი...

და ჟამს თეთრი და შავი არაგვი

შეუბამს მთების უდელში და როგორც

ყვარი,

ლეგენდის ურემს

ბარისაკენ მიაჭრიალებს...

1959

საშპუნები

სარკოფაგიდან წამომდგარან

საუკუნენი

ცივი სიჩუმის

ზარით

და ბუკით,

და დავიწყების ქონგურებზე დააბიჯებენ.

მეციხოვნებს უყივიან...

და უკვირთ, უკვირთ,

რომ აღარ სჩანან

ციხისმცველი, კარგი ბიჭები.

1959



ქმარნად

არყოფნის ქაოსიდან

ამოვიზრდებით

და გსვამთ სიცოცხლეს...

მზე კი უშქარ სიხარულს

გვაფრქვევს,

სიშორეს გვაწვდის ვარსკვლავების

სხივი ცახცახა.

ჭლექს...

ინფარქტს...

კიბოს...

და ათასგვარ სახელებს ვარქმევთ

სიკვდილს,

რომელიც ჩვენში ჩასახლდა.

1963

პირს შეიმშრალებს ცისარტყელა ქათქათა
ღრუბლის

სველ პირსახოცზე, და ყურს უგდებს
ტალღების წუხილს.

რეკვიემივით წარსულიდან მოისმის
“ბატა”.

მოწყენილ ციდან სიზმარივით ჩამოდის
მწუხარი,
ზღვა მოლბერტია,
უხილავი,
ქარიშხალს ხატავს.

1961



მეტანის

მეტებთან უცებ წარსული დარეკს,

სადღაც უყივის –

მარეკი მარეკს,

და ხმათაშორის ერთი ხმა ბოხობს.

ნადირს და ფრინველს –

მწევარნი ყეფენ...

ეს,

ალბათ თავის დაკოდილ ხოხობს

წყალში ჩაგარდნილს წააწყდა მეფე.

1956



ჩემმა გამჩენმა
ჩემი სამშობლოს
ცის სილამაზე –
თავს დამარისხა.

და ვიცი, ახლა
თვით უფალიც ვედარ მიშველის,
რაღან დღედაღამ ფიქრის კარზე მესმის
კაცუნი.
მაცხოვარივით –
ტიტველ-შიშველი –
ვარ პოეზიის
ჯვარზე გაძრული.

1959



ჩემს ქართულ სიტყვას ვაელვარებ ხელში
 ხმალივით,
 თვით სირინოზებს დაატყვევებს ხმა –
 ჯადოსნური.
 და საქართველოს მზეს და მზის კერას,
 ქუდს მოგუხდი და
 ვიგლი უქუდოდ,
 სანამ სიკვდილი ამომიკერავს
 მარადიული ძილის ძაფით
 თვალთა ქუთუოს.

1964



ცის დარბაზებში სძინავთ ვარსკვლავებს,
დრუბლების ბალახს –

მთვარე არ ძოგს
ღამის ჭალაში.

ტალღებსაც სძინავთ ზღვის დიდ მკერდში
უხმოდ ჩაკრულებს,

შენ კი არ გძინავს,
სიყვარულო,

და ნეტარებით,
გულის დირეზე მხოლოდ ერთხელ
დამიკაცუნე,
და განიხვნება მოლოდინის
ცივი კარები.

1960

შემოდგომა

წევს შემოდგომა
 ქართულ მარანში,
 თამადა თურმე იყო კახეთი
 და ვერ მოასწრო ალაზანის
 ველზე გახედვა,
 როს იგრძნო მძლავრი დიონისეს
 ხელის შეხება.
 და... საქართველოს უზარმაზარ
 ცის საწნახელში,
 ვარსკვლავები კვლავ შიშველ
 ფეხებით
 ოჯალეშისფერ ნათელს წურავენ.

1979



ზერამზერალი

დავიბადებით...

ქაღალდივით თეთრი გვაქვს

შუბლი

და არსოვამრიგე,

ნებას და სურვილს –

ზედ გვაწერს უფლის.

და სიკვდილამდე იგებს

ვერავინ,

შუბლზე რას გვაწერს –

წერამწერალი.

1962



ლალატი იცის ზღვის
 გულ-დვიძლმა,
 მისი სივერაგე
 არ არწყულა,
 ახლაც მომეგება და მომხვია
 ყელზე –
 ტალღების აპეური.
 მერე ქარის ცრემლებით
 დამარწყულა,
 შფოთვით და ღელვით –
 დამაპურა.

1961



საჭყალი მამა

მოულოდნელად სიკვდილს შეება,
წუთისოფელთან ბრძოლით
დადლილი.

და, აი,
ახლა ბებერი ქამი
არწევს და არწევს დავიწყების
ცრემლისფერ პამაკს,
და მოწყენილი შიგ წევს ბალდივით,
ჩემი მოხუცი,
საწყალი მამა.

1965



შატილი

დარდობენ მთები;
 ხმის გამცემი არ ჩანს
 არავინ,
 გადაშენება დადის ტრელი
 და შემპარავი...
 აგერ,
 წარსულში, – ურიცხვ ბრძოთა
 ისმის ყაყანი,
 ალბათ,
 კაფავენ მომხდურთა ტყეს
 შაგს და უსიერს...
 მაღალო ღმერთო! –
 ამ მთებს...
 ამ ზვრებს...
 ბაღს და საყანეს, –
 მტერი კი არა...
 წვენი მოდგმა შემოუსიე...

1962

ვითარცა ზღვაში დაღუპულთა
სპეტაკი სული –

დამემ მთოვარის შუქჩე გაფინა –
მოწყენილი და
ფერმკრთალი ნისლი.

ზღვას კი სივრცეში –
ფასკუნჯიგით უნდა გაფრენა,
და ფრთებს ისწორებს...
უსაზღვროა სურვილი მისი.

1981



მნათობები

ათავთავებულ სივრცის სიბნელით
სავსე აქვთ მზერა
და ნესტოები,

საკუთარ ცეცხლით
შიშის პერანგს
ისევ აშრობენ.

განთიადისას სიმყუდროვის
ბუდეს ტოვებენ
და მთვარის ჯამში აბერტყავენ
მიწას სიშორეს.

1966



ხერთვისის ციხე

დაჭრილ მკერდიდან –
კვლავ გადმოჩქეფს
სურო და ხავსი,
უურს უგდებს წარსულს...
და დახანებით
ესმის შორიდან ყაყანი და... ხეობებს
ავსებს
შავი ლანდები ლენგების და
მამადხანების.
ქრება მირაჟი...
და დგას ციხე ძვლებით ნაგები,
არც ერისთავნი...
არც ამაყი ათაბაგები...
მხოლოდ წიფლის ხე დგას ქონგურზე,
ვით მეციხოვნე
და შუბლშეჭმუხვნილ წარსულს
გასცემის.

1966

პრომეთეს სული

დგიძლს არ უკორტნის ტიტანს
არწივი,

და მაინც აღარ შეუხორციდა ძველი იარა,
თუმც დია ცისქვეშ,
უთვალავი ღამე

ათია.

და... კავკასიის მაღალ კლდეზე
თოვლი კი არა,
ღმერთ-კაც პრომეთეს
სული

ანთია.

1964

ქარი უეცრად ზღვას წაიტირებს,
ნაპირთან ტალღა ფეხაკრეფით
მიდის და
მოდის
და თოლიების ფრთებზე როკავს წვიმა
მკათათვის.
და აღსავლიდან,
ვიდრე დასავლით
გადებულია ცისარტყელას ფერადი ხიდი
და დღე დაღლილი
წუმად გადადის.

1959

ჩემი მხარე

სულ სხვანაირი ისმის გალობა,
 ფიქრი თუ კვირტი,
 მზისებრ ჰყვავის
 სულ სხვა ენაზე.
 სხვა ზღვა რომ დელავს,
 ქარიც სხვა ქრის,
 ეს მიხარია.
 სულ სხვანაირი ხმა მოისმის –
 დროის გელაზის...
 მცირეა,
 მაგრამ ჩემი მხარე,
 სულ სხვა მხარეა.


1950



სიცოცხლის ტოტზე ზის და გალობს
პატარა ჩიტი,
რა შორით მოჩანს
ახლო მყოფი ნაპირი მწუხერის –
მდინარი დილის
და დამის ჰეა.

მივსდევ აღმართებს ისევ მგლის მუხლით.
ხედავ?
გალობამ მეც ჩიტივით
შორს გამიტყუა.

1960



მამის განსევება

სხვენზე დევს მამის თოხი და წალდი,
 მოხუცი დედა საკერავს კერავს.
 მუხის დადარზე შიშხინებს მწვადი,
 მამა არ უზის მშობლიურ კერას.
 ფიქრობს დედა...
 და ფიქრებს პგავს კვამლი,
 ეზოში ფოთლებს ქარები პგვიან,
 არ უყივლიათ მეორედ მამლებს,
 მამა კი უფრო მოსულა გვიან.
 გზას ფეხაკრეფით მიჰყვება ლამე,
 წელს მდევარივით მიჰყვება წელი
 და ზოგჯერ დედას სიკვდილი მამის
 ავიწყდება და... და დილამდე ელის....

1965

შეცარი შეღამება

შიშველი ელგით და სიმყუდროვით –
ფერმერთალი სივრცე
წუხს განგმირული
და ცრის სიჩუმეს ბნელში –
მღვრიე ცა.
ცოტათი ადრე,
ჩემთან ერთად თვალი მილულა
დღემ და...
ხვალისთვის ფიქრებს მიეცა.

1959



ძაღლების ყეფა ესხა საღამოს,
 საკვამურიდან ამოსული
 კვამლის ბულული
 ცისქენ ილტგოდა და სიმაღლე
 ზეცას ტკიოდა.
 მინდორი იწვა სოფლის ახლოს
 ტყით დაბურული
 და ყაჩალივით
 ტყე-ტყე ღელე შორს მიდიოდა...

1956



800 აქილევსის გევგა ფარი

ფრთებს რომ გაშლიან
ცაში აფრები,
ზღვას ჟინი უვლის
ქარში გაფრენის.
ღელვის ტაძარში,
ვით მეგობარს
მაშინ შევუვლი,
როცა წეს ნათელს პირმშვენიერი,
მედეასავით –
დამე გრძნეული.
ვით აქილევსის ვეება ფარი,
კოლხეთის ცაზე
ჰკიდია
მთვარე.

1960

0რხევა ვიქრი

ტალღებს ადგიძებს აფრის შრიალი
 და ზღვა ასაფრენ
 ყანჩასავით
 ისევ წრიალებს...
 და ვით მარცვალი ღვარძლის და
 იფქლის,
 სიბნელე ფრთებით
 დააქვთ ღამურებს.
 დუმილის მძიმე ფეხისხმაზე
 ირხევა
 ფიქრი,
 ვითარც ლერწამი, სასალამურე.

1964

პოველ საღამოს

მდუმარე ბორცვებს მოსდებია
წლები ბალახად,
ქაოსს და უკუნს შეუსვენებლივ
ისევ მიარღვევს დღეთა
მარტლა,
და ჭრიალებენ ასწლეულთა
მძიმე კარები.
ყოველ საღამოს
სასაფლაოს
უმზერს
მალულად
დღე ფერმკრთალი და
სიკვდილნარევი.

1969

გითვალთვალებენ

მმის ხსოვნას

წახველ...

სიცოცხლე დაგიწყების

ნისლმა

დაბურა...

შენ პატარა ხარ,

და წყვდიადის გზას ვერ მიიკვლევ,

მიტომ გაქვს ცრემლით სავსე

თვალები.

და მეჩვენება:

გარსკვლავების

ჭუჭრუტანიდან

ანგელოზები

გითვალთვალებენ...

1989

სანაპირო

დამით დახურულ
სიმყუდროვეში,
ზვირთთა ალერსით
გადაღლილი
და დაქანცული,
წევს სანაპირო
უზრუნველად და
არხეინად.
ხოლო მთვარე კი,
როგორც ქალწული,
კდემით მიჰყვება
ვარსკვლავების
მწვანე ხეივანს.

1962

განთიადი

ცეცხლში შთაინთქა
 ღამის ტაძარი,
 მაგრამ ღრუბლებმა
 ცის თაღები
 მაღლა აღმართეს
 და სივრცის ძახილს
 ელვა უწოდეს.
 ნაპირს მომდგარი ზღვა ლოცულობს
 და მზეს აღმერთებს
 და მსხვერპლად სწირავს
 ზვირთებს –
 უცოდველს.

1060



რომ არ ჩათვლიმოს

მღვენის ფიქრივით –
აღარ ისვენებ,
შენ, ქარიშხალის სულო,
გრძნეულო.

ცის ვარსკვლავებო,
ბაგშვილიაში ბევრჯერ დათვლილო-
ზღვას სურს, წამით რომ
თვალი მიღულოს,
მაგრამ თოლია ფრთას გაჰკრაგს კვლავ,
რომ არ ჩათვლიმოს.

1969



ნათელი მოდის

შენთვის წუხილი მე დამებედა,
ირწევა ჩვენი¹
სიშორის ბონდი
და შავ დამეებს თეთრად ვათევ,
ვითარც ვათევდი.
თუმცა დამ-დამით შენი ფიქრის
ნათელი
მოდის,
რომ ბნელი დამე –
ადრე ვათენდეს.

1960



მთვარის პაირაღები

დამე და ციფი მიუსაფრობა,
იდუმალების
მზით დაგმანულ
კარებს აღებენ.
ფიქრში შრიალებს ხე –
საქსაულის...
ბრწყინავს და ელავს
მთვარის
თეთრი ბაირალები
და ვარსკვლავების დღესასწაული.


1960



ქართ და ფოთლები

ჩამოქურუხედა ცის სიმყუდროვე,
ღრუბელს გაუწყდა ძაფი
მოთმენის
და სივრცეს მეხი სტეორცნა
ტიალი.
ქარმაც კუთხევში
მოიმწყვდია
რემა
ფოთლების,
თითისტარივით მერე უცებ დაატრიალა.

1984



მშვიდი ღლებები

ბებერი ქამის ბუნაგიდან
ფაფარაშლილი
გვიდრენს არყოფნა
მკაცრი და ფლიდი
და ნათლად ვხედავთ, სიცოცხლის გზაზე
ჩვენს შესახვედრად
ხმაურით
დიდით,
მოდის დღეები
სრულიად მშვიდი.

1969



თქვენს შესახვედრად
 მოვისწრაფი
 დღიდან გაჩენის,
 თქვენ მაღალ ხსოვნას
 ლეგენდებში
 ბევრჯერ შევუვლი,
 დაუვიწყარნი,
 დაგიწყებად არ მემეტებით.
 და ღრუბელივით გზადაბნეული,
 გარდასულ დროთა
 მღვრიე ცაში დაეხეტები.

1961




კოინდრის ნოხზე –
ურა ხის რაშს დავაგელვებდი,
სიმინდის ღერებს,
თუ ყელ-ყელა დღეებს ვბელავდი,
ბათურა მუდამ დამსდევდა ღრენით.
ჭინჭის ბურთით და აკაციის
რიკტაფელათი –
ქალალდის ნაგმა წაიყვანა
ბავშვობა ჩემი.

1960



ფრთხებგაწვართული წეროებივით
 დღეები დღეებს მიჰყვებიან
 სადღაც დასავლით,
 და ცოდვილ მიწას –
 ზეცა ადგას, როგორც შენდობა.
 ჩემი ფიქრები ალვებს პგვანან
 ცამდე აწვდილებს.
 მსურს ხელი კტაცო
 საყელოში უიმედობას,
 მაგრამ არ მიშვებს,
 მელობება წინ სიყმაწვილე.

1964



არავინ არ ჩანს...

დგას წუხილად

ოდა მეგრული,

მოხუც დედასაც დაწევია დამე ტიალი

და ეს დღეები მწუხრისკარში

ისევ გადიან...

მიტოვებულ ჩვენს ეზო-კარს რომ

დატრიალებს,

შავი დრუბელი,

მამავ,

ვიცი,

შენი დარდია.

1965



მარგალიტების ლამაზ მძივებად,
 შენი ცრემლები მაცვივა,
 თუ ქართლის ცის ნამი?
 შორს,
 ურემივით,
 მოგონების ჭრიალებს კარი...
 მთვარე კი არა,
 დედა,
 შენი ნათელი არი,
 ბნელს რომ მიცისკრებს
 ამ უღრან ლამით.

1970

მომწყინდა დამე...

და სივერაგე კაცის თუ ღმერთის,
ზღვისა თუ ხმელის.
მიწა ქალამნად მიმაჩნია და
მოვარე – ქუდად.

რაც იყოს, იყოს,
თავზე უნდა ავიდო ხელი,
ერთ მშენიერ დღეს,
საკუთარ თავს
გავეძვე უნდა.

1971

ჩემმა პირველმა სიყვარულმა –
ზღვამ მიდალატა,
ვნახე, გრიგალებს ვნებიანი ქვეშ
როგორ ეწვა,
და ახლა დაღლილს,
დაუკრეფავს ხელები გულზ,
ხოლო უფალი ცის სარკეში
თავისთავს უმზერს,
შიშგელ ფეხებით ზელს თიხას და
ჩემს სახეს ძერწავს.

1970



მამული

ნათლით მოსილი,
ბროლის ფრთოსანი,
მშვილდმოზიდული შენ ხარ ამური,
გვტყორცნი სიყვარულს
და ვარსკვლავებს
ოქროს გირჩებად
და... შენი ტრფობა –
შიგ გულში მჭირს,
ჩემთ მამულო!
არ ვიცი,
როგორ გადაგირჩები.

1961



ელეგია

დაბადებიდან

მზის და სიცოცხლის –

დარდით დაწინწკლულ

კაბის კალთას ვებდაუჭებით,

სანამ არყოფნის თეთრ ბალიშზე

თვალებს მივლულავთ,

სანამ ნათელს

ის არ დაგვიჭკნობს,

ვინც აგვიყვავა.

და,

აღარ ვიცით, თვალებხილული,

ბრმა ბედისწერას

საით მივყავართ.

1971

მოუნის ლიტანია

ჭკნება ნათელი მარადიული,

როგორც სიცოცხლის თეთრი
კანდელი.

და სიჩუმეში ვიღაც იურგის –
მოსილი უცხო შარავანდედით.

ჟამი მკაცრია, როგორ გავართოთ,
რომ არ დაგვამხოს ზეცა ქვიტკირის.

მიდის უგზოდ და უმისამართოდ
და ჩვენ მივდევთ და... უკან მივტირით,
მნათობებს რეკავს დამე გრძნეული...

და ატეხილი ფიქრთა ისლები
ამ სოფლად წამით შემოქცეული,

ჩვენებრ იმ სოფლად მიინისლება.
სსოვნით მოცული სადაც გვეგულვის,

ამქვეყნად ტანჯვით შობილთ
მშობელი.
სიბნელის რაშზე ამხედრებული მოდის...

1986

უცხო ხომალდი

უცხო ხომალდის ტკაცუნობს აფრა,

ტანში აქრეოლებს

პონტოს და ფაზისს.

ნაპირი ღელავს...

და იგარცხნის ზეირთთა

შავ დალალს.

წარსულის ტოტებს ხსოვნა კვლავ

არხევს...

არგოს ჰგავს –

მოვარე.

მედეასფერ ღრუბლებში მალავს

ცა –

ვარსკვლავებით დაჭორფლილ სახეს.

1968

ზვირთებს ჩაკრულებს

ზღვის ლურჯ აკვნებში,

მაღლა ამოსვლის ჰქლავდათ წყურვილი,

თავისუფლებას –

ქარი დაპირდათ

და მზე და ლტოლვა

გერდზე ეფინათ.

ძრწოდა მიდამო...

და ქარიშხლით გაცრილ ნაპირთან

მკვდარ დედის ძუძუს

უხმოდ წოვდა

ციცქა დელფინი.

1980

ოლები პერჭავენ

ჩემთან მორბოდით...

და არ აცდენდით
კოცნა და ხვევნის ტკბილ გაკვეთილებს.
და აი, ახლა,

კვლავ გიხსენებთ
ყველა მეძავეთ.
ზოგჯერ უხეშებს,
უზნეოებს,
მაგრამ კეთილებს
და ლამაზ-ლამაზ მოგონებებს
წლები ძერწავენ.

1989



ჩემო ოდიშო

როცა შეწყდება ვარსკვლავების
უცხო სერობა
და მზე შეახებს თითებს
სიმს დილის,
მაშინ,
ო, მაშინ, დათაქტრივო
ჩემო ოდიშო,
თმაგაბურძგვნილი დამადგება თავზე
სიკვდილი
და სულს წამართმევს
უსირცხვილოდ
და უბოდიშოდ.

1979



მხარი მეცვალა

უღმერთო მიჯნურს გაზაფხულების,
 დაუკითხავად
 კარს მომადგა
 უცებ ზამთარი,
 ვთხოვე გამცლოდა,
 მაგრამ მაინც
 არ გამეცალა,
 და აი, ახლა,
 საქართველოს მზით
 გადამოვრალი,
 დამეში მივალ,
 სინათლეში მხარი მეცვალა.

1977



მზე, ვით ვრინველი

დასავლეთიდან,

განთიადამდე,

მზე, ვით ფრინველი,

დღისა და დამის ფრთებს მოარხევდა...

და მერე გვიან,

დილა —

ნინველი,

აღმოსავლეთით ცეცხლის რაშე

უცებ ამხედრდა.

1963



გვასწავლის პრმენი

რომ აგვამაღლოს სულით
ზეცამდე,
დილას მზე მოაქვს,
კითარცა ძღვენი,
მაგრამ დღეები ციკი და უნდო
გვდალატობენ და...
გვასწავლის
პრძენი,
რომ სიციცხლეშიც
სიკვდილი ბუდობს.

1960



ისმის გალობა

დღისით და დამით აღარ ისვენებს,
ხეს სიცოცხლისა,
მწუხარების უსვამს შალაშინს
გარდაუვალის გარდუვალობა.
და მაინც სადღაც,
სიყვარულის
ისმის გალობა
დარდით გაფოთლიდ დამის ჭალაში.

1959



მიებაზ

როგორც გათენდნენ,
ისე დაღამდნენ,
მიწა იყვნენ და...
იქცნენ მიწადვე.
მწუხარში მოისმის
ქვათა ღაღადი,
მწუხარში იღვრება ქვათა
ჰანგები
და... აქ ყველაფერს –
ქვები გამგებლობს.

1963



ღამეები კვლავ ქრიან ყორნებად
და პა,
საცაა ჩამომექვევა
ცის და სინათლის შორი
კედლები.
“ვზი ბნელსა შინა”,
ცისიერი,
უსმელ-უჭმელი,
თუ რამ შეგცოდე,
პატიებას
შენ გევედრები,
ცოდვით ნაშობი,
მოარული ცოდვის ჭურჭელი.

1964

გვირილა

ზეცა მიხმობს...

მექანიან მე სამშობლოს გზები,
წელში მოხრილ ცისარტყელას
გბღუჯავ, როგორც გორდას,
რადგან მტკიგა ნანგრევები –
იყალთოს და გრემის.
თეთრ-კოპლება ჩითის კაბით
რომ შემოგხვდა გორთან,
ის გვირილა –
ლიმილია ჩემი.

1989



ტერენტი ბრაველი

ვარ პოეზიის კლდეს მიჯაჭვული,
თავზე დამბრუნავს ღრუბელი და
ცრემლთა ქარ-წვიმა.

ჩემთვის, უფალო,
არც ძილია და
არც ღვიძილი.

ავწყვეტ...
ვერ ავწყვეტ... –
სულს მიკორტნის ეჭვის არწივი,
მაგრამ,
ის ღამით მიმრთელდება ისევ –
ღვიძლივით.

1961



დამეების თეთრ ძვლებს ვხრავდი,
გზა მოჩანდა –

უვალი და დორდიანი.

შენ რომ გესმა მძვინვარ ხვადის
ხმა,

ის მე ვარ, ჩაგიარა კვლავ დრიალით.
მნათობების ოჯახები დავიარე,
ასვამ, სიმაღლეებ! –

ზღვის მოწვდილო.

მთვარე, არა!

მთვარე ჩემი დაი არი,
გზეზე უნდა ვიქორწიოლო.

1958



მაც და მონა

(ფრანგი იმპრესიონისტების გამოფენაზე)

ფერთა უდაბნო –
სასოფლო თავდავიწყების.
ქალიშვილები,
პიანინო¹,
მთვარის მარაო².
შეჩერებულა დრო და ქამი და არარაობს,
და ყოველივეს –
აქ ფუნჯი მონებს,
აქაა ყველა მოსაგონარი:
დეგა,
პიკასო,
რენუარი,
მანე და მონე,
დიდი გოგენი,
პისარო და
ბრძენი ბონარი.

1966

ზღვა ყალყზე იდგა ფაფარაშლილი
 და ცას სათოფედ
 არ იკარებდა,
 ვითარცა ადრე, დიდი ხნის წინათ.
 გამთენისას,
 ქარებმა მოებს
 თოთო ბავშვიგით,
 ღამით დარაზულ მაღალ კარებთან
 ღრუბლების ჩვრებში შეხვეული
 მიუგდეს წვიმა.

1980



ყულები

წარსულის ცრემლში აფრიანი
ირწევა გემი,
რომელსაც მიჰყავს
ქალ-გაუები ყალმით ნახატი,
ძღვნად რომ მიართვას
სტამბულში სულთანს.

ცა –

კოლხი დედა
ომას იწევს და პირს იხოვს
ელვით,
ზღვა გულში მუშტებს იბრაგუნებს
და ეპვრის სუნთქვა.

1973



ცის პაპირუსზე მთელი დამე
 დილას წერს ღმერთი,
 მერე შლის და შლის საშლელით
 ღრუბლის
 ვარსკვლავებით დაწერილ წერილს,
 მოსწონს,
 არ მოსწონს.
 ირიჟრაჟა –
 გაეხსნა შუბლი
 და გაკრთა ელვა –
 მოაწერა
 უფალმა
 ხელი.

1956

მოხუცის სიბრძნე

- მიწას ჭამს ბაგშვი, -
დედახემი იტყოდა ბრაზით,
საწყალი ბებო
დასტურის ნიშნად
თავს დაუქნევდა
და სიტყვაში ელავდა
ხვითო:

- არა უშავს რა,
ბაგშვმა ჭამოს მიწაც და
ქვიშაც,
სანამ ისინი შეჭამენ თვითონ.

.....
მოხუცის სიბრძნე გავიგე გვიან.

1964

ზაფხულ და ზამთარ ჭამს ჩვენს
 სიცოცხლეს,
 მიწამ მუცელი მაინც ვეღარ ამოიყორა.
 წელზე არტყია მას სიკვდილის
 ოეთრი ქამარი,
 ჩვენ კი მოკვდავნი,
 ვით ხარები:
 ნიშა,
 ნიკორა,
 მარადეამყოფნის
 იმედს ვლოკავთ,
 როგორც ქვამარილს.

1974



აღმოსავლეთით, —

ქართლის მთებიდან,

მოდგა ზამთარი თეთრი ღიმილით

და თავს იწონებს —

უთეთრესი გარეშემოთი.

დაგმანულია კარ-ფანჯრები ჩემი ოთახის,

შენზე ფიქრი კი

ფეხაკრეფით

მაინც შემოდის.

1991



ლეტარ არიან მორიზონენი

– ცაში ბეჭდულვი,
 ნურც მოგვშლოდეს შენი წყალობა, –
 ისმის ჩურჩული...
 მორწმუნეთა თან სდევს ვედრება:
 ძმა ძმას ნუ მოჰკლავს,
 გადმოგვხედე,
 ზოგჯერ, უფალო!
 და... დამეგბი მიუყვება
 მთვარის ხეივანს...
 მიწაზე ისევ,
 ძმა ძმის სისხლს დვრის
 ტყუილ-უბრალოდ,
 ხოლო უფალი ცის კარავში ზის
 არხეინად.

1984

დღე ცეცხლის ხარებს
მზის გუთანზე
ისევ შეუბამს
და ცის ვეება მინდორს გადახნავს.
და მოვა დამე,
გლეხეკაცივით, მოხუცი მოვარე,
ვარსკვლავთა მარცვალს
დაუწყებს თესგას,
მერე დილამდე
ოქროს თავთუეს გააქვს
შრიალი.

1973



დღეები

მიმზერენ ჩუმად და დაჟინებით.

თვალებში უდგათ

სიხარული –

მზებზე დიდი.

და ყურს უგდებენ –

ყელმოდერილ სიტყვებს თუ ბგერებს.

მიმასსოვრებენ...

და მიდიან –

დღეები მშვიდად,

რომ გამიხსენონ ასი წლის მერე.

1962



ქართლში

შეხედეთ ქედებს! –
ტანაშოლტილ ქართლის
ქალწულებს,
მთებსაც შეხედეთ –
თეთრჩოხიან ვაჟკაც ქართველებს,
რომლებიც სვამენ მოჩანჩქერე –
სამხრეთულ ჰავას.
ღმერთმა მე მომცა ეს სამოთხე და
შევიფერე.
და მიწა,
ახლა, სადაც მე ვდგავარ,
ჩემთვის ეს არის ევერესტი
და ეიფელი.

1959

მშვიდობა შენდა,
დიდ არს ქვეყნად სუფევა შენი,
შენი თეთრი ძმა –
ღრუბელი კი დღეს შავად მოდის.
შენ ცისიერი ცისკენ იურვი,
მხოლოდ სიფიცხე,
მხოლოდ სევდა ადამის მოდგმის,
სხვა დანარჩენი, ზღვაო, შენში არის
ღვთიური.

1966



ტალღების ყეფა
და ზვირთების
ისმის ბლავილი...
მთვარის სვეტისგან გამოკვეთილი
ცა
ხმაურისგან დედამიწას ვეღარ
იფარავს.
ო, ქარიშხალო! –
მწყემსო კეთილო,
სად ერეპები ზღვას და
ზღვის ფარას?!

1965



მყინვარწვერი რომ ხელოუპყრიათ,
 ვითა სანთელი
 და ლოცულობენ მუხლმოყრილები,
 ეს მთები არა,
 ჩვენი დიდი წინაპრებია.
 და, სულო ჩემო,
 ნუ გაოცდები,
 რომ წინაპართა ცრემლებია – ზღვები
 მღელვარე
 და ვარსკვლავები არის ლოცვები.

1970



წარსულში უცებ წინაპარმა
ხმალი იშიშვლა,
ასე მგონია, როცა იელვებს,
ზღვაში ოვალს ახელს სასწაული
და ფანტაზია.
ქუხილი, არა,
აიეტი და ფარტაზია,
ისევ ებრძვიან პონტოს პირას
ბიზანტიელებს.

1972



ჩემს სიყვარულს იფიპშიგებენ

გადაშლის ქამი
სიკვდილ-სიცოცხლის
სქელ ყდაში ჩასმულ
ვეება წიგნს –
ჩვენი ცხოვრების
და ასო “დ”-ზე ჩაკეცს “ალფავიტს”.
თავს წაუქცევენ დვინოს ჭიქები,
მერე ჩიტები დასხდებიან
ლოდზე –
საფლავის
და ყოველ დილით,
ჩემს სიყვარულს იჭიპშიგებენ.

1971



კისრისტენით ჩამორბოდა მთიდან

ბილიკი,

წვიმდა,

წევთავდა მზე და სიმწვანე –

ვაჟას ღვიძლან,

ვაჟას ღეკიდან.

არაგვი იწვა მთის აკვანში, როგორც
ენება.

და ცისარტყელა ცად ეკიდა

შვიდფრად გადაჭრილ ვენებით.

1984



ზღვა ხელში როგორ შემომეცრიცა,
 ქარის ხმა გულში
 როგორ მესობა,
 როგორ ჭრიალებს მზეშებმული
 აღსავლის
 კარი.

ამდგრეულია ცა, როგორც მტკვარი.
 შუადამისას ქარიშხალმა
 ჩაძირა მოვარე,
 ღელვამ ნაპირზე გამორიყა გამთენისას.

1986



ბებრის ციხე

აწმყოს და წარსულს დაბჯენია,
როგორც ყავარჯნებს,
დაღამებია თვალები
ორბის
და ბრმა თვალებით გზას
გაჰყურებს...
თუმც არგის ელის.
გამხმარი სურო მის მკერდზე
მოგავს
ნაწერს ძველთაძველს –
გაპრული ხელით.

1965



ნაციხეარი

ცა იღრუბლება ჩემი წუხილით,
 ვზიგარ ცივ ქვაზე
 და არავის არ ველოდები,
 არც მეციხოვნეს, აღარც ლაშქარს,
 და არც ქვით-ხუროს.
 მე ახლა მხოლოდ
 მომხდურისგან
 ნატყორცნ ლოდებით...
 ქართლის ავბედით წარსულს
 ვკითხულობ.

1968



პოეტის მაითაფია

უფალმა ღმერთმა –
მიწის ბელტისგან –
გააკეთა სიცოცხლე ჩემი
და სიმღერები ჩამბერა სულად
და მიმატოვა.
მოვარდა ჟამი
ძე ვეფხივით –
მშიერ-მწყურვალი
და წაიხემსა
დდეები ჩემი.
მაშინ უფალი
განრისხდა
და იმავ ბელტისგან
გააკეთა –
სიკვდილი ჩემი.

1968

თაგდაგიშვილი

დღე ერთია და...

ათჯერ მეწვევა

ჩემი ერთგული თავდავიწყება,

მაშინ დელვის გზით გარბის სიმშვიდე

და სული,

როგორც სვეტი –

ცხოველი,

რწმენის ნათელზე გასაკრავად ელის

იდეალს.

და არვინ უწყის,

რომ დღე ყოველი

ჩემთვის...

ო,

ჩემთვის ბეწვის ხიდია!

1989

პვ0რა ღღე

ჩემს ბიჭებს – არა,
ჩემს ბავშვობას
ვეთამაშები,
დიმილი ჩემი,
შვილებისთვის იარაღია, –
მარდად ხმარობენ.
აჟა, ლუდი,
მდობელი,
სარდერი,
ვზივარ მეფურად,
მზე მიკოცნის თვალებს
ნაღვლიანს,
ვარ უზრუნველი და უდარდელი...

1984

პედაგოგის თავის შალა

ოქროს ფაფარში ჩაფრენილი
 წუთისოფელი,
 მტვრიან ხმაურში
 აღმა-დაღმა დააჭენებდა.
 და აი, ახლა
 (ეპ, რამდენი წელი გავიდა,
 დაუკრეჭია კბილი,
 მწყრალს თუ ბედით
 კმაყოფილს),
 სარზე ჩამოცმულ ბედაურის
 თავის ქალიდან –
 ცივი ჭიხვინი ისმის
 არყოფნის.

1960

მე დავიბადე

მზის შესაყრელად მიდიოდა გუნდი
მთიებთა,
ცის და სინათლის ჩუმი დაღადით.
იღგა სიცოცხლე და სიხარული.
მთვარის ჩქერალში
სივრცეები ხელ-პირს
იძანდნენ,
როს გამოენის გარსკვლავების ატყდა
ჟღარუნი,
მე დავიბადე!

1956



შეგონება

ვუსხედვართ წუთისოფლის სამსჯავროს,
სად უმაღლესი –

დროა მსაჯული,
ცრემლი და ოხვრა,
არრა არის
რა მოსაწონი,
რომ ერთი სიტყვით
კაცმა ინატროს.
ავაგიზგიზოთ სიკეთის და
რწმენის კოცონი,
რომ პინდისფერი,
ცრუ სოფელი გავაჩირაღდნოთ.

1964



სელეგპილები

იხილეს სისხლის დღესასწაული
და დედამიწას
ომით ტვინი გამოულაყეს,
მაგრამ,
აღიგნენ...
გერ უშველათ ცეცხლმა,
ომებმა,
და გამარჯვების აღტაცება...
ნირევა...
დიდება,
ვით ამაოთა
ამაოება,
მუნვე წარილეს
სელეგპილებმა.

1962

ნათელს გალობან

ჩემი სიცოცხლის ტოტებზე სხედან

და სიხარულს და ნათელს

გალობებ

ისინი,

ვინც მე ეს ცხოვრება გამილამაზა:

ჩემი ზურაბი –

ფერი ფოცხვერის,

და ჩემი დაჩი –

შავი ავაზა.

1978



საწუთოს გზაზე საუკუნენი,
შენს სულს უდმერთოდ სვამდნენ,
ზვაობდნენ,
ცრემლი და ოხვრა,
ქრისტე და ჯვარცმა,
შენ აღარც ერთი არ დაგკლებია...
და აი, ახლა,
რომ იფიქროს ქართველმა კაცმა,
ამაზე ფიქრიც დამთრგუნველი
და ამკლებია.

1975

სიმარტოვე

გზიგარ ზღვისკარად –
ბრწყინავს ღამის
ვეება ჭერი
და მთვარის მიღმა,
მირიადი წელი მიშხუის...
ტალღები ნაპირს
სიმყუდროვის სამოსს
აცმევენ.
არავინ არ ჩანს,
იყოს ლეპი,
თუნდ იყოს ღილღვი,
ეს სულ ერთია...
მხოლოდ ახლა ხმის გამცემი
მე წამლად მიღირს.

1989

საქართველოს ისტორია

ათასწლეულთა ოკეანიდან

ამოვიყვანე და...

ისტორია

ხელში მიჰირავს კვლავ

ლაყუჩებით,

მოწვეთავს ცრემლი...

წინაპართა

ცრემლის აბს ვყლაპავ,

მოურჩენელი ტკიფილების გასაყუჩებლად.

1983



080

მე,

მიწის ძე ვარ ანტეოსივით,
სხვები კი უფრო ზეცას ელტვიან...
და ჩემი სული, მზით შემოსილი,
დედამიწაზე ვერ დაეტია.
გაივლის ქამი...

დიდი ხნის მერე,
ნათელი მოვა
დვთის ნაბოძები
და... საუკუნის ჩრდილში დაკარგულს –
ჩუმად მომძებნის.

1965



ვიდექ გემბანზე და ვუყურებდი:
ერთურთს ახრჩობდა ზღვა და
ზღვაური,
ცეცხლის მახვილით
კვლავ ებრძოდა დრუბელს
დრუბელი.
და ვიდაც ქალი
სიყვარულით მკერდაწეული,
მიაჭენებდა ზღვისნაპირას
ულაყს უბელოს,
ვით ამორძალი,
წარსულიდან გამოქცეული.

1959




დაბადებიდან სიცოცხლე გვტკივა
და დაბერილი გვაქვს
ლაყუჩები,
გმღერით და ვტირით...
ვტირით და ვმღერით...
რამე თუ მიწყივ,
ტკივილების
გასაყუჩებლად
გველის არყოფნის ქარი და მტკერი.

1990



ჟამს შარბათივით,
დღეთა ყანწებით
გსვამთ და გსვამთ...
მაგრამ ვეღარ დავცალეთ,
სულ ტკბილად რომ ვსვათ, ნებას აღარ
გვაძლევს ურჩხული.
რადგან წუთები ცივი ჩურჩულით
ისე ცვივა, ვით ქვიშის
საათში –
ქვიშის მარცვალი.

1960



ჩემი სული

ბოლო მოედო მომავალი დღეების
ლოდინს,

შედედდა ჟამი –

გახუნებულ დუმილის ზღურბლთან –
შეუცნობელი და ფერშეცვლილი,
არ უშინდება ქუხილში მდგარ
ღრუბლების

სისქეს.

და... ჩემი სული –

უქრობ ცეცხლივით,
ჩემი მამულის შუაკერადან მიიწევს
ცისკენ.

1962

გარდუგალობა

ღამის ბილიკით მოეშურება,
გვინდა,
არ გვინდა,
მაინც გვეწვევა –
დღის ნასახლარზე
გაუვალი ღამის მკმეველი,
დამთრგუნველი და
დამარბეველი,
ჩვენი სიცოცხლის დაცამლეწველი.

1972



ამაღლება

ამაღლდი, სულო!
სხეულიდან ამოიწიე!
(გებდაუჭება მიწიერი არამიწიერს)
და ღვთის საუფლო,
უსამანო ლაჟვარდს გახედე!
ეს სულ ერთია,
სივრცეები გერთვის
თუ ერთვი.
და ამით უფალს თუ შესცოდე,
ამ “სითაგხედეს”,
მაღალია და...
შეგინდობს ღმერთი.

1965

შენს დროშისფერს,
შენს სიმაღლეს,
ვითარც ვახტანგ,
ვითარც ცოტნე,
შეეწირა სხვა ათასი.
ქართლის ცაზე რომ პკიდია,
მზე კი არა!
თავი გახლავთ პაატასი.

1978



ჩამოდის ლამე

მიმწუხრის ბაღში ფოთოლ-ფოთოლ
ჩამოდის ლამე,
ისმის შრიალი

გაზაფხულის
ფერადი კაბის,
სიმწვანეს იცვამს ჩემი მამული.
მნათობთა ცეცხლზე (შუქით სავსე)
დუღს მოვარის ქვაბი,
ოდნავ წახერილი
და შეკვამლული.

1956



დაუკითხავად, როგორც მოყვასი,
კარზე მოადგა
შემოდგომა
ტყვიავს და შინდისს
და დიონისე –
ღვინის ღმერთი
ფეხდაფეხ მოჰყვა.
კასპს
სამოსს იცვლის
წაბლი და შინდი,
გორში
გარდისფრად შეიღებეს ვაშლებმა
ლოყა.

1967



ცისარტყელას აპბაროზი

როს დაეჯახა ღრუბელი ღრუბელს,
მეხმა

ელვის მათრახით ცა
გაროზგა.

და... ღმერთს გარდისფერი ცისარტყელა,
ყელზე პვლავ ჰკიდია
ავგაროზად.

1963



პაპა მეტყოდა ვარსკვლავთმრიცხეველი:

- ცაში მნათობი ვთვალე...

ვთვალე...

გეღარ დავთვალე

და აჟა, ასი მიიწურა

ზაფხულ-ზამთარი.

დამე კი,

დამე მოვერცხლილი მთვარის

სათვალით

ვარსკვლავთა წიგნებს კითხულობს და...

ვეღარ ამთავრებს.

1981



ზის და მკარნახობს

ჩემში უფალი ზის და მკარნახობს
 ცხოვრების წიგნს და...
 როს შექმლება,
 მამაზეციერს მინდა ვუყვირო:
 კმარა!
 შეჩერდი!
 პოეზიის ამ სიუხვეში,
 ჩემი ლექსები არის ჩემებრ
 მთლად გულუბრყვილო,
 ჩემებრ დიდგულა,
 ჩემებრ ფიცხი,
 ჩემებრ უხეში.

1969



ჩვენი ხეთი და ჩვენი მიზია

დამე ფიქრმა დამარბია –

ქართლის მთისა

თუ ბარისა,

მესმის დრტვინგა...

და ბიბლია

მიხმობს ხმებით თუბალისა.

გარ მემკვიდრე, ნაშიერი –

მოსოხების...

და ხეთების –

ცის მწყურვალი, მზის მშიერი

შოორ – წარსულში ვეხეტები.

რა ლამაზი მზე ბარჩხალებს,

ო, რა კარგი ამინდია.

თავის თვისტომს გულში მიკრაგს,

ჩემი ხეთი და მიდია.

1956

სიბართ

ფიქრის და დაფნის –
გვირგვინს კუწნავდი,
ოცნების კიბით ცამდი ამყავდა
და სიყვარული,
როს უღირსმა,
გერ შევიფერე,
მაშინ კი გულში
აპრილიგით –
დარდი აყვავდა
და გამოჟონა თმებში სიბერემ.

1991



გადაფრხნა

ჩრდილო-სამხრეთისაკენ მიაქვთ ზაფხული,
უხმობთ სიშორე,

გადარჩენის მიაქვთ ოცნება

(აღარ ქვითინებს ყანა მწყერივით).

ფრთებზე იხვევენ თოკებივით მანძილს
ფრთოსნები,

დაცლილ ბუდეებს ჩამოჰყურებს ცა –
მოწყენილი.

1989



სიკვდილ-სიცოცხლის

მიწყივ მფლობელმა,

მსრბოლავ ჟამს ავხსენ რიდე,

აგშარა

და უდმერთობის ზეცას შევკივი.

თვალკრემლიანი მიგუყვები მტვრიან

გზა – შარას,

ამ წელისოფლის

ცოდო – ბრალით –

ქედდადრეკილი.

1987



ნარიყალასთან

კრწანისის გელზე –
თავდახრილი დგას დამარცხება.
მტკვრის ტალღებში კი,
არაგველთა –
ისმის ყიჯინა....
ნარიყალასთან,
გელური ხმით,
მწყემსმა –
თათარმა,
ქართლის წარსული,
აგერ,
ახლა,
კპლავ შემიშინა.

1971

ხსოვნის მპრანი

ხსოვნის გალეულ ეკრანზე მოჩანს:

სოფლის ტალახი,

მარჩენალი ჩელა

და ლომა.

კოფოზე დროშად აღმართული ასკილის
სახრე.

მოხუცი მამა,

თუთარჩელა,

ლამე, ურმული

და ურმის კვნესა,

ტყე,

მინდორი,

ცის თეთრი სახე –

დრუბლებით ოდნავ შეთალხული

და გამურული.

1968

მთაში

შიმშილს და ზამთარს ყმუიან მგლები –
შუაღამისას გადაჩეხეს
უფსკრულში მთვარე
და ფაშატივით ძვლიანად დახრეს.
და... თვლემენ მთები ნაომარნი
და ნაავდრალნი,
თვლემენ მწყემსებიც
და ქარავში შიში ქვლავ ლიზღობს.
სძინავს კერიას,
მაგრამ დადარი –
ნაცარში ფრთხილად გახვეულა და ისევ
ფხიზღობს.

1964



წარსულის ქარი

ომაგაბურძგვნილი, შავი და ცივი –
დამე – მახსენებს კოლხეთის წარსულს.

გამკრთალი ელვა –

შეცხადებას მეგრელი დედის,

რომელსაც უცებ

მოსტაცეს შვილი,

გადამთიელმა ყურსალარებმა.

და მოდის ქარი სიშორის ტოტით

და მარტო ვრჩები ღელვასთან და

წარსულის ქართან:

კიგილი...

მოთქმა...

შეცხადება...

სისხლი და ცრემლი...

სხვა არაფერი... არაფერი...

სიბნელის გარდა.

1971

უთუოდ მოვლენ

პატარა ბიჭმა

ჩიტს სიკვდილი სტყორცნა შურდულით,

მოგონებები დაედევნენ

დამფრთხალ ბეღურებს...

მაგრამ მთიდან როს ჩამოვა თოვლი,

გამოყვებიან

მის ნაფეხურებს

ჩემი ბავშვობის დღეები და...

უთუოდ მოვლენ!

1970



ცა მშობლიური

ცას როს შევხედავ,
 გაიღვიძებს ჩემში
 უფალი,
 და სიხარული მდის ალაზნებად,
 მზე –
 მშობლიური ისე მათბობს,
 როგორც მათბობდა.
 დამის უღრანწი,
 კითარც ადრე,
 მიიჩლაზნება
 ქედებზე სანთლებ დანთებული –
 ჯოგი მნათობთა.

1970



დედას

ცას მნათობები ისევ კორტნიან

და ცივ სიშორის ტოტებს

არხევენ.

არყოფნის ფიქრი

ჩემს იმედებს

როცა შებინდავს,

მაშინ,

მე მესმის ცრემლნარევი

შენი ძახილი –

მარადიული მდუმარებიდან.

1983



შენი სიცოცხლის სანაპიროზე
არდაბერების ჰყვავის
სოსნები,
ზღვა და ლელვაა მარადისი შენი
მხლებელი.
თუმც წახდა ჟამი...
მაგრამ მაინც
პატიოსნება –
შენს სულში კვლავ დევს
ხელუხლებელი.

1987



არ გაგახსენებ

წუხდა დაჭრილი სიყვარული –
შავი ავაზა,
შხამსა და ღვარცოფს ანთხევდა შური.
ცნობისწადილი
ცხვირით ჰგავდა
თვით ბურატინოს.
რაც იყო,
იყო...
მე არაფერს არ გაგახსენებ,
ნაიარევი სული უცებ
რომ არ გატკინო.

1988



მპათათვე

ქვითქვითებს ყანა
 და ლაუგარდში
 ლამობს აფრენას,
 იცინის ტარო,
 ხაშარ-ულვაშ გადაგრეხილი.
 მწვანე სიწყნარე სუფევს დაფნების.
 და ალბათ მალე,
 მთვარის ნამგალს
 დილა, გლეხივით,
 მზის უზარმაზარ
 ქვაზე ალესავს.

1964

მაჟმალია

სიშორითა და სიმყუდროვით
გადახურული
განათებულა მთვარის დარბაზი,
ირგვლივ სიცოცხლის
ჩაუმქრალი
სხივი ანთია.
დამის ტოტზე ზის მაფშალია
და ცის ნარმაზე
სიმღერის ძაფით
ქარგავს
განთიადს.

1954

ჰემინგუეი

დღესასწაულობს აფრიკის ფერი
და ჯუნგლებიდან
იღრინება
შავი ღირსება,
ერნესტ! –
სიცოცხლე და სიმართლე
რომ დამაჯეროს.
მთვარიან ღამით
მსხვერპლს დარდობენ
ბნელი სფინქსები,
სივრცეს გასცემის მოწყენილი
კილიმანჯარო.

1979



ცის სამრეკლოდან

ვარსკვლავები რეკენ და

რეკენ –

სინათლის ზარებს,

კიდით კიდე.

დაძე –

ვეგბა საშანდლეა,

მთვარე კი – მნათქ.

უძილო ზღვა

თავს ნაპირთან მიდებს

და წამით ჩათვლემს.

1978



ცივია ახლა ეს მოგონება,
უფრო ცივია სინანულის
გზა უპირქუბო
და ეს წუხილი შენ მომანიჭე.
გახსოვს?
როდესაც უნდა შეეღო
შენი კეთილი გულის კარიბჭე,
და სწორედ მაშინ,
სიყვარულს რომ ფეხი დაუსხლტა.

1989



ყინვისში

დაგვნათის სახე თამარის,
გვიფარავს ფრთა
ანგელოზის,
მიტომაც გამოვამტვრიეთ
რვა საუბუნის
კედელი.

— გვხრავს ქამი რკინის მქვნეტელი
და ჩვენ სიცოცხლეს დავეძებთ:
წუხს ანტონ გლონისთავისძე
და ზაზა ფანასკერტელი.

1999

გასილი საგაფონდელი

ცა ჩამოტირის დამის ტრამალებს,
 საკურთხეველი
 უცოდველთა ცოდვამ
 დაღალა.

აღარ ხმიანობს
 ჩემი ჩანგი,
 ჩემი ჩაღანა,
 როს დედამიწას სიხარულად
 ცამდი ავწევდით.
 ცოდვა განიხვნე, ბჭეო
 სულისავ,
 აჰა,
 მოსულა ქამი განწმენდის!

1979



ჩემი ფიქრების თავშესაფარი
მებმა გაბზარა –
გამჭვირვალე
ცის თეთრი მინა.
ოცნების აფრას შორ წარსულში მე მაინც
გავშლი,
რადგან ბავშვობის დღეებს
ჩემში, ო, ისევ სძინავთ,
როგორც მომავალ გრიგალებს – ზღვაში.

1991



ჩვენ და ვრთოს ხები

როდესაც მოვა შემოდგომა
 მზის ყვითელ ეტლით
 და ფოთლების ექვნის წკრიალით,
 და როდესაც,
 ჟამი აგვიქშევს,
 მაშინ ისინი მიურინავენ
 “თბილი ქვეყნისკენ”,
 ჩვენც მივდივართ და...
 გველოდება
 ქვეყანა ციკი.

1983



ოშელ სიზმარში მე პნევა ღედა

ისევ ბიბინებს ხსოვნის ბალახი.

ჯერ დავიწყებას ღერიც აღარ

წაუწყვეტია, —

გადმოიარა და არყოფნის

ზღვა გადალახა.

და ჩამაშტერდა თავხედურად თვალებში

ელდა.

წუხელ სიზმარში მე ვნახე დედა.

მორჩა...

გათავდა...

აწი სიზმრებს უნდა ვუცადო.

1984



პგელი ბრაზილია

ღამით ღმერთები წაეკიდნენ
 ერთიმეორეს
 და დაცალეწეს ცის დარბაზები,
 რწმენა კი დუმდა,
 არც წუხილი...
 არც სამდურავი...
 და აი, ახლა, კვლავ ყვავილობს
 თვალში მორწმუნის
 მიწა —
 მშიშარა ანგელოზთა ცრემლში
 მცურავი,
 და —
 ურჩო ღმერთების სისხლით
 მორწყელი.

1981

თებერვალი

თოვლის ფანტელების
ციური გალობით,
მოვიდა თებერვალი...
და სწორედ, დროც არი.
ჩვენ ვზიგართ ბუხართან,
გუგუნებს რონსარი,
კლოდ მონე,
ფრანსუა,
დუტე და ნერვალი.

1964



შენი სინათლის დგება უკუნი
და სიახლოვეს
კივის სიშორე.
მხრებზე გაყრია ვარსკვლავების დამე –
ქვიშორი
და ცისქვეშეთში სილამაზეს სწუხარ
ნინველი.
ასე ჭკვიანი,
ასე კარგი,
და საკვირველი,
არსად არ იყავ,
ეს მე თვითონ გამოგიგონე.

1969



მზემ ჩაიმუხლა...

ნებტუნივით ღელვას ვიუნჯებ,
ზღვის იალაღზე ქარიშხალი ვერძებს
მოდენის,
რომლებმაც შორი გზები
გათელეს
და მიუვალი ციხეები ლეწეს რიფების.
ბოლოს ჩვენსავით,
მათი მძლავრი სმათა
ნათელი
მარადისობის სიჩუმეში ჩაიკრიფება.

1970



იმ ოქრო ხანის –
 მეთორმეტის –
 მოძღვა ჟამი,
 გამიდიადდი,
 მზის სარკეში ვეღარ ეტევი.
 სითბო,
 სინათლე,
 სიხარული
 მიგაქს გულებთან.
 ადრე სხვა იყო,
 ზღვისპირ იდექ
 რკინისმკვნეტელი
 მარტოდმარტო და...
 ირგვლივ მტერი გიძუძგურებდა...
 ჩემო მამულო!

1969

ბეჭინიარება

რამეთუ იგი, დღეს ამომზევდა –
ჩემი ფიქრიდან
და მეფერება
და სიხარულის, დაფნისფერი უჭირავს
ტოტი,
და ნათლად ვხედავ:
ბედნიერება –
დამაბრმავებელ სინათლით და
წუხილით მოდის...

1968

არ ვხედავ,
მაგრამ ჩემი სიყრმე ვიცი
თან დამდევს.

არ ვისმენ,
მაგრამ
სიყვარულის გუგუნებს ოხვრა.

ვხედავ ტყუპისცალს –
ტირილს და სიცილს;
ვხედავ ფიქრიდან –
ჩემს სიბერეს
მთლად წელში მოხრილს,
რომელიც ძელქვის მაღალ ჯირკვზე –
ზის და კვლავ მიცდის.

2018



პავასიონი

ქართული მთები სწუხან სიმაღლეს
და თვალი მაინც ცისკენ
უჭირავთ,
მაგრამ მიწასაც,
ვითარც მშობელს გრძნობენ
ისინი,
რადგან შოლტივით –
ბილიკები
გადაუჭირათ...
კავკასიონი გაწოლილა ბნელში
სფინქსივით
და ყინვის დამზრალ ტორებს ილოკავს.

1968



როგორც პრომეთეს სისხლის წვეთები –
მიწის ხსოვნიდან
ამოენთნენ

ყაყაჩოები,
და ზეაწვდილი წითელ ქოლგებით
მწვანე მინდვრები
გადაირბინეს...
ხოლო ზაფხული,
ვნებააშლილ, შიშველ ქალივით
ზღვის ბნელ სიღრმეში შესულა და...
სხეულს იგრილებს.

1968



ბონოვა, მაკატიონ

მეძახის დანტე
და ჯოჯოხეთი
და დაკარგული
კივის სამოთხე,
შენ სიზმარივით ფეხაკრეფით
ჩემთან მოხვედი
და მინდა, შენზე სიმღერებით
სული ამომხდეს.
გთხოვ, მაპატიო,
თუ რაიმე
ცოდვა დავუშვი –
შენზე ფიქრებში,
შენს ღიმილში,
შენს სიყვარულში.

1967

მოდის... სულ ელა მოდის...

ვისმენ შორეულ სიცილს,
შრიალებს მწუხრის ტოტი,
მგლური ნაბიჯით ვიცი, –
მოდის...

სულ ნელა მოდის...
მაგრამ სახე კი არ ჩანს,
ვიცი, ცელს სადღაც იქნევს.
იქნებ დამესთან დარჩა,
იქნებ გზას ვეღარ იგნებს.
იცვამს დარდსა და გლოვას,
მიმზერს...

ფიქრიდან ვუმზერ...
ერთ მშვენიერ დღეს მოვა, –
ხელებს დამიკრეფს
გულზე...

2017

დუმს ისტორიის ვრცელი მინდორი –
გადანისლული უთვალავი
ომის ექოთი.


დიდისნის მერე, მთვარეულივით,
მაღალ თარიღთა
თეთრ ჩონჩხებზე დავეხეტები,
და ნათლად ვხედავ:
მიდიელნი,
მუშკნი,
ხეთები,
თავიანთ დმერთებს ზვარაკს სწირავენ,
ცისოვის შეუდგამო ლოცვები და
კვამლის სვეტები.

1965



მზე სიჩუმეში როცა ჩავიდა,
და ადადანდა ოქროდ ცის ყანა,
ო, სწორედ მაშინ,
ვით მძინარე ბაგშვი აკვიდან,
ზღვა ქარიშხალმა
წამს ნაპირზე
ამოიყვანა.

1955



გარსგვლავთა სიკვდილი

ადამიანი რა არის?!

ის კი არადა კაშკაშა,
ცად ვარსკვლავები ჩნდებიან,
მილიონ წლობით ცოცხლობენ,
ბოლოს ისინიც –
კვდებიან!!!

1959

ცა-პოსმიური

რაც დრო გადის,
ვტოვებ მატისს,
მიროსა და
მოდილიანს.

რაც დრო გადის,
ზე-ავებარ –
პლუტონს იქით,
ბრაკს და კანდინსკს,
“ჩაკრულოს” და
“ოდელიას”.

1979



დამბა

ხობისწყლის პირას წამოწოდი –
ძოგოს თუ ჯეკეს,
დამბა ინახად,
(ვით სალკლდებზე კვერცხებს
არწივი),
ჩემს ტკბილ ბავშვობას და
სიყმაწვილეს,
მე ვიცი გულში ჩუმად ინახავს!

1959



მთავრებ-ფაზიანი

შუალამისას აყრილან დრუბლები,
და ელგის ხელებს შორს,
სადღაც იშვერენ...

მთვარე, თითქოს და ფაკირია*.

ცის აიგანზე კი პვლავ
ტიტველ-შიშველი,
სხედან ვარსკვლავები და
სინათლეს ტირიან...

1960

* ფაჯირი (არაბ.) – მოხეტიალე მუსლიმი ბერი.
დავრიში.



ვითარც მზეს დილა,
აღმოსავლეთით,
ჩემი დღეები გამარჯვების დროშებს
კიდებდნენ...
და მაღლდებოდნენ “ყვარლისა”
მთები საჩინოს.
წარსულის ფარდა მე გავწიე
კიდით-კიდემდე,
- ძველი კოლხეთის სიდიადე
გამოვაჩინე.

1973



იგრისელის „ფსალმუნების“ 100 ტომი

ქართულ ენას მუდამ სდევდა
ხმა თვისი და ძალისხმევა
იერიქონის საყვირის!
არ არსებობს სხვა სიმპტომი*.
და არაა გასაკვირი –
ეგრისელის „ფსალმუნების“
– 100 ტომი.

2006

* სიმპტომი (ბერძ.) – ნიშან-თვისება, დამოხვევა.



ირგვლივ მეუფობს დამის წყვდიადი...
უცებ გამკრთალი ელვის
ბილიკით
ზე-მივიწევი, როგორც ტიტანი,
რომ ჩემი ცოდვილ
დედამიწისთვის,
მზე და სინათლე ჩამოვიტანო!

1963



მადლი

დიდი ტანჯვა-წევალებისთვის,
მადლს რომ სწირავ იობივით,
შენი აჯა უფალს ესმის.
სხვაა შენი ხვაშიადი!
შენი სიტყვა,
შენი ლექსი,
ღმერთთან ლოცვად ცაში ადის...

1981



ჩვენი რემა

საუკუნეებს გადათქერავენ,
მათ არშინიან ნაფლოქვარებს კი
ვარსკვლავების აუგა აღი.
მათგან ერთსაც ვერ მოიპარავენ,
რადგან ისინი ერთად ივლიან,
რადგანაც ყველა დაჭედილია –
ხალიბური –
(კოლხური) ნალით.

2018



სული პოეტის

შავი ზღვა არა,
ოკეანეა,
ატლანტიკის და ინდოეთის
- სული პოეტის,
დღე-ნიადაგ კი უფრო იზრდება.
და დაგრიგალობს ყველბან,
ყოველთვის,
სანამ პლანეტებს შეეხიზნება.

2018



უსამანო ცისქვეშეთში,
რაც შენ გიქუხ –
გიგრგვინია,
იმდენი არ უყივლია:
მამალს –
ციხის ქონგურიანს,
ფარშევანგს –
გზის გვირგვინიანს.

2018



0სეგ ქართული ხნა

“კოლხურ ფსალმუნთა” –

ასტომეულს ვეღარ დაიტევს,
ქართული ენა – მცირეაო,
ამბობს – ავსული,
იმან არ იცის, რომ ის უფლის
ცეცხლის ალია,
ბაჯაღლო ოქროს ვერტიკალია,
სინათლის სვეტად თოთხმეტი მთის
შუა ჩასმული.

2011



პირმოთნეთ და ფარისეველთ,
თვით უფალიც არ ყვარობს!
(ვერვინ კურნავს ჭირს და
გარამს).
ურიებმა გოლგოთაზე,
ქრისტე არა!
ჯვარს აცვეს მთელი სამყარო.

1966



ଓ হা ইয়ে পোর্ট

ওঁ –

ডেফামিষিস লুরজি সেলিন,
প্রেমলিঙ – নামো.
মিষিস ম্যারিথে কি রামদেব সামুহিত
গাফার্জেলিঙা...
ডো... একেবারে প্রাপ্তি মিষি ডো
ম্বোসা ডো মতবারিস
ত্বাপ্তি আর অভিলাঙ্গণি
আরবেরতি ফামিত.

2018



აპტ

ლეგენდიდან თუ მითიდან –

ქარიშხალს ბდავის აპი*.

მთები კი ტანზე ნისლებს
ივლებენ...

ციცქნა ტალღები, ვით ყვიწილები,
ექოჩრებიან ნაპირს.

1956

* აპი (ბერძ. ეგვიპტ.) – დვორაუბრივი ხარი.



შიში

ბნელში მთვარის ეშინიათ
და შიშს ყეფენ კვლავ
ძაღლები.

ყური უგდე თ. დაუშვილს*:

— უნდა მოკვდე!
პოეტო შენს “ამაღლებას”,
შენი ყოფნა კვლავ დაუშლის.

1979

* თამარ დაუშვილი — პოეტი.



ცრუ რწმენა

სულ მიაჩნდა ეპოქის

თავი,


თანამედროვედ!

მაგრამ ეშმას მცდარი გზით,

მიჰყავდა ვით დუშმანი,

ღვთისმოსავ ბერ თევდორეს.

1969



დღის და ლამის გავარჯებით

ასეა ამა სოფლად:

მზის გარდისფერი სათვალით,

წუთები წამებს ამარჯნებენ...

არყოფნის მტვრიან გზაზე –

მიფორხილებს ყოფნა,

დღისა და ღამის ყავარჯნებით.

2017



ეპილოგის მაგიერ

მეკითხებიან, შავები რად ჩააცვი წიგნებს,
ან რატომ დაჰკრავთ ფერი ქაოსის?!
ანდა მზე დამეს როდის შეუვლის?
უფლისგან ნელ-ნელ სამყაროს შექმნას,
ვამსგავსე მე,
ეს 100-ტომეული!

2020



სარჩევი

შესავალი	5
ზღვაო	25
ქართველმა ქართველს უანდერმა.....	26
გზა შორეული	27
ტრიპტიქი	28
ასეა ხვედრი	29
ო, ღმერთო, როგორ გაგითამამდი	30
ოხრავს ეზო	31
ისევ მოლოდინი	32
ციცინათელა სინათლეს	33
ხორგის სასაფლაო	34
*** შავითმოსილი	35
სინაწყლი	36
ეზმანება აღა-მაჟმაღ-ხან	37
იქიდან	38
ქართული მიწა	39
გათხრებისას	40
მოგონებას მივესათუთე	41
ბარათაშვილი	42
შენი სიშორე	43
ფიქრიანი ღამე	44
ღუმან სივრცენი	45
მხოლოდ სამშობლო, სხვა არაფერი	46

ის ციცქნა ტოტი	47
ზღვის შავი როიალი	48
რას იზამ, კარგო	49
ამოწვდილი ცეცხლის მახვილით	50
რისთვის და რატომ	51
მე სიყვარულის გორგალზე	52
ზღვისკარად	53
ვითარც ჩემი მოსაგონარი	54
მგალობელ ჩიტივით	55
გურიაში	56
ქართლის წარსული	57
*** წლებმა უდაბურ გზებზე	58
*** ზღვიდან თვალს	59
*** ცაში იშვა და...	60
*** ცის სიმყუდროვეს	61
მზე ამოვიდა	62
*** დღე	63
*** იმედი ჰყვავის და	64
მათ თქვენ გიტოვებთ	65
ასე მგონია	66
ყორანი	67
სამიზნე	68
*** აღმოსავლეთით	69
*** უხმო სერობა მეფობს	70
დიდი პაემანი	71

მიტოვებული ეკლესია	72
არმაზი	73
სოფლის დილა	74
მამის სიკვდილი	75
ფიქრები	76
*** მნათობთა შუა-კერასთან	77
არმაზის სამარხები	78
დედაო – მიწავ	79
ია-იების ლურჯი ღილებით	80
მოვა, არ მოვა	81
ცხრამნათი	82
ცისიერი და მსასოფვარი	83
ან ასე რატომ ზანზარებს	84
შაშვის სიკვდილი	85
ორი არაგვი	86
საუკუნენი	87
*** ქვეყნად	88
*** პირს შეიმშრალებს	89
მეტეხთან	90
*** ჩემმა გამჩენმა	91
*** ჩემს ქართულ სიტყვას	92
*** ცის დარბაზებში	93
შემოდგომა	94
წერამწერალი	95
*** დალატი იცის ზღვის	96

საწყალი მამა	97
შატილი	98
*** ვითარცა ზღვაში	99
მნათობები	100
ხერთვისის ციხე	101
პრომეთეს სული	102
*** ქარი უეცრად ზღვას	103
ჩემი მხარე	104
*** სიცოცხლის ტოტზე	105
მამის გახსენება	106
უეცარი შეღამება	107
*** ძაღლების ყეფა ესხა	108
ვით აქილესის ვეუბა ფარი	109
ირხევა ფიქრი	110
ყოველ საღამოს	111
გიოვალთვალებენ	112
სანაპირო	113
განთიადი	114
რომ არ ჩათვლიმოს	115
ნათელი მოდის	116
მთვარის ბაირადები	117
ქარი და ფოთლები	118
მშვიდი დღეები	119
*** თქვენს შესახვერად	120
*** კოინდრის ნობზე	121

*** ფრთხებგაწვართული	122
*** არავინ არ ჩანს	123
*** მარგალიტების ლამაზ	124
*** მომწყინდა დამე...	125
*** ჩემმა პირველმა სიყვარულმა	126
მამულო	127
ელეგია	128
მწუხრის ლიტანია	129
უცხო ხომალდი	130
*** ზვირთხებს ჩაკრულებს	131
წლები ძერწავენ	132
ჩემო ოდიშო	133
მხარი მეცვალა	134
მზე, ვით ფრინველი	135
გვასწავლის ბრძენი	136
ისმის გალობა	137
ქვები	138
*** დამეები კვლავ ქრიან	139
გვირილა	140
ტერენტი გრანელი	141
*** დამეების თეთრ ძვლებს	142
მანე და მონე	143
*** ზღვა ყალყზე იდგა	144
ქულევი	145
*** ცის პაპირუსზე	146

მოხუცის სიბრძნე	147
*** ზაფხულ და ზამთარ	148
*** აღმოსავლეთით	149
ნეტარ არიან მორწმუნები	150
*** დღე ცეცხლის ხარებს	151
დღეები	152
ქართლში	153
*** მშვიდობა შენდა	154
*** ტალღების ყეფა	155
*** მყინვარწვერი რომ	156
*** წარსულში უცებ	157
ჩემს სიყვარულს იჭიკჭიკებენ	158
*** კისრისტებით	159
*** ზღვა ხელში როგორ	160
ბებრის ციხე	161
ნაციხარი	162
პოეტის ეპიტაფია	163
თავდავიწყება	164
კვირა დღე	165
ბედაურის თავის ქალა	166
მე დავიბადე	167
შეგონება	168
სელევკიდები	169
ნათელს გალობენ	170
*** საწუთოს გზაზე	171

სიმარტოვე	172
საქართველოს ისტორია	173
იმედი	174
*** ვიდექ გემბანზე და	175
*** დაბადებიდან სიცოცხლე	176
*** უამს შარბათივით	177
ჩემი სული	178
გარდუვალობა	179
ამაღლება	180
*** შენს დროშისფერს	181
ჩამოდის დამე	182
*** დაუკითხავად,	183
ცისარტყელას ავაროზი	184
*** პაპა მეტყოდა	185
ზის და მკარნახობს	186
ჩემი ხეთი და მიდია	187
სიბერე	188
გადაფრენა	189
*** სიკვდილ-სიცოცხლის	190
ნარიყალასთან	191
ხსოვნის ეკრანი	192
მთაში	193
წარსულის ქარი	194
უთუოდ მოვლენ	195
ცა მშობლიური	196

დედას	197
*** შენი სიცოცხლის	198
არ გაგახსენებ	199
მკათათვე	200
მაფშალია	201
პემინგუეი	202
*** ცის სამრეკლოდან	203
*** ცივია ახლა ეს მოგონება	204
ყინწვისში	205
ბასილი საბაწმინდელი	206
*** ჩემი ფიქრების	207
ჩვენ და ფრთოსნები	208
წუხელ სიზმარში მე ნახე დედა	209
ძველი გრავიურა	210
თებერვალი	211
*** შენი სინათლის დგება	212
*** მზემ ჩაიმუხლა...	213
*** იმ ოქრო ხანის	214
ბედნიერება	215
*** არ ვხედავ	216
კავკასიონი	217
*** როგორც პრომეთეს	218
გთხოვ, მაპატიო	219
მოდის... სულ ნელა მოდის...	220
*** დუმს ისტორიის	221

*** მზე სიჩუმეში როცა	222
გარსკვლავთა სიკვდილი	223
ცა-კოსმიური	224
დამბა	225
მთავრე-ფაკირი	226
*** ვითარც მზეს დილა	227
ეგრისელის “ფსალმუნების” 100 ტომი	228
*** ირგვლივ მეუფობს	229
მადლი	230
ჩემი რემა	231
სული პოეტის	232
*** უსამანო ცისქვეშეთში	233
ისევ ქართული ენა	234
*** პირმოონეთ და	235
ცა და დედამიწა	236
აპი	237
შიში	238
ცრუ რწმენა	239
დღის და ღამის ყავარჯებით	240
ეპილოგის მაგიერ	241

D. J. Gammie



ვაჟა ებრისელი

გოლუშრი ფსალმუნები

100 ტომაზ
ტომი 100

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 100

- | | |
|---------------------|-----------------------------|
| გამომცემლობის | |
| რედაქტორი | – ერეპლე სალლიანი |
| მხატვარი | – სპართაკ ციცაძემ |
| მხატვრული რედაქტორი | – ირაპლი უშვერიძე |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღუმბაძე |
| კორექტორი | – ლალი დოლგაია |
| კომპიუტერული | |
| უზრუნველყოფა | – ნანა და დათო ყანეაშვილები |
| გამომცემელი | – დაჩი დოლგაია |

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „კონსალტი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაია №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com